ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## საქართველოში უმწეოების რიცხვი ყოველდღე მატულობს

სოციალურ სფეროში კატასტროფული ვითარებაა



გვ.6

ოთხშაბათი, 11 ნოემბერი, 2009 №292 (5033) ფასი: 30 თეთრი

# უკრაინელმა ჩინოსანმა საქართველოში „ღორის გრიპი“ ჩამოიტანა

გვ.4



## როდის უნდა ველოდოთ „ღორის გრიპის“ პიკს

გვ.2

## ზვიად გამსახურდიას ნეშტს ექსპერტიზას ჩაუტარებენ?!

იგორ გიორგა ესა და შოთა კვირაიას გამსახურდიას კომისია ვერ დაკითხავს



გვ.3

## სოხუმი გრიპთან ბრძოლაში დახმარებას რუსეთს სთხოვს

გვ.2



გვ.5

## საარჩევნოდ ფულს მაინც ვიშოვით!

მზად ვართ, ალასანია ნებისმიერ ოპოზიციონერს შევაჯიბროთ



გვ.4

## რუსეთის პატრიარქი საქართველოში ჯერ არ ჩამოვა

რატომ გვიანდება პატრიარქ კირილის ვიზიტი



გვ.4

## რუსეთი მორიგ აგრესიას გვიმზადებს

გრიგორი კარასინი შესაბამისი ზომების მიღებით იმუქრება

## ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი ისევ გამოფინეს

გვ.8

## ევროპელებო, რუსეთთან ფრთხილად იყავით!



გვ.7

## საწვავზე ფასმა 5-10 თეთრით მოიმატა



გვ.7





გვ.7

## ხელისუფლებას სამამულო წარმოების განვითარების სურვილი არ აქვს



## გია ჭანტურია ქართულ ბიზნესში დაბრუნებას უარყოფს

გვ.6

**2** რუსეთი უფრო ავტორიტარული და აგრესიული გახდა

**3** ქორწინების რეგისტრაცია შესაძლოა უფასო იყოს

**2** საქართველოს დელეგაცია ჟენევაში გაემგზავრა

**5** მუხროვანის სამხედრო ამბოხებისთვის განსასჯელების სასამართლო პროცესი დღეს განახლდება

## რუსეთი უფრო ავტორიტარული და აგრესიული გახდა



აშშ-ს სენატის წევრის ჯონ მაკკეინის განცხადებით, რუსეთი ქვეყნის შიგნით უფრო ავტორიტარული, გარეთ კი, უფრო აგრესიული გახდა.

ეს განცხადება მაკკეინმა ჰოპკინსის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

— ნუთუ დამთხვევაა, რომ რუსეთი, სადაც მთავრობის კრიტიკოსებს კლავენ, საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრა და მისი ნაწილი დღემდე ოკუპირებული აქვს. ნუთუ დამთხვევაა, რომ ლიდერს, რომელმაც საბჭოთა კავშირის დანგრევა 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფას შეადარა, ყოფილ საბჭოთა ერებზე ბატონობა სურს, ვისურვებდი, რომ ეს დამთხვევა ყოფილიყოს, მაგრამ ასე არ არის, — აცხადებს მაკკეინი.

**მედიანიუსი**

## სოხუმი გრიპთან ბრძოლაში დახმარებას რუსეთს სთხოვს

სოხუმის რეჟიმი გრიპთან ბრძოლაში დახმარებას რუსეთს სთხოვს. როგორც საინფორმაციო სააგენტო "აპსნი პრესი" იუწყება, ამის შესახებ შესახებ ე.წ. ჯანდაცვის მინისტრმა, ზურაბ მარშანიამ განაცხადა.

— ჩვენ რუსი კოლეგების დახმარების დიდი იმედი გვაქვს. აფხაზეთში აუცილებელია გრიპის საწინააღმდეგო პროფილაქტიკის ჩატარება. მოსახლეობის ვაქცინაციისთვის 100 ათასი დოზაა საჭირო, — განაცხადა მარშანიამ და დასძინა, რომ ე.წ. ღორის გრიპით დაავადების შემთხვევა აფხაზეთში ჯერ არ დაფიქსირებულა.

ე.წ. პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს გრიპის პროფილაქტიკისა და ეპიდემიის შემთხვევაში მოქმედებების გეგმა უკვე წარუდგინეს, რომელის თანახმადაც, ვაქცინაციისა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად მედიკოსების მობილური ბრიგადები შეიქმნება.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს დელეგაცია ჟენევაში გაემგზავრა



გუშინ საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიგა ბოკერიას ხელმძღვანელობით, ჟენევაში გაემგზავრა, სადაც 11 ნოემბერს ჟენევის კონსულტაციების მორიგ რაუნდში მიიღებს მონაწილეობას.

ჟენევაში უკვე იმყოფებიან ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები. დღეს იქ რუსეთის დელეგაციაც ჩავა.

ქართული მხარე კონსულტაციებისას ოთხი ქართველი მოზარდის, რომელიც ოკუპანტებმა 4 ნოემბერს გორის რაიონიდან გაიტაცეს, განთავისუფლებისა და ზოგადად, რეგიონში უსაფრთხოების საკითხებს წამოჭრის. ოსური მხარე კი, ოფიციალურ განცხადებას აპირებს იმასთან დაკავშირებით, რომ ცხინვალის წარმომადგენლები ერგნეთის მოლაპარაკებებში მონაწილეობას აღარ მიიღებენ.

**მედიანიუსი**

# როდის უნდა ველოდოთ „ღორის გრიპის“ პიკს

**ზამთრის დადგომასთან ერთად, ვირუსების რიცხვიც თანდათან მატულობს. A(H1N1), იგივე „ღორის გრიპი“, გრიპის ახალი ვირუსია, რომელიც ადამიანთა გრიპით დაავადებას იწვევს. ახალი ვირუსი პირველად აშშ-ში დაფიქსირდა 2998 წლის აპრილში. ღორის გრიპის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე ისევე ხდება, როგორც სეზონური გრიპის ვირუსისა.**

ნონა ცაბა ე

ახალი ვირუსი საკმაოდ ბევრ ქვეყანაში დაფიქსირდა, მათ შორის, საქართველოშიც. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში „ღორის გრიპის“ 48 შემთხვევაა დაფიქსირებული. საზოგადოება პანიკამ მოიცვა, თუმცა, თუ მედიკოსებს დავუჯერებთ, პანიკის საფუძველი ჯერჯერობით არ არსებობს. როგორც ირკვევა, ეპიდემიური აფეთქება ნოემბრის ბოლოდან არის მოსალოდნელი.

**თუ რა არის „ღორის გრიპი“ და რამდენად საშიშია იგი, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელ პაატა იმნაძეს ვესაუბრეთ.**

***— ბატონო პაატა, „ღორის გრიპის“ რამდენი შემთხვევაა დაფიქსირებული საქართველოში?***

— დღევანდელი მონაცემებით, სულ 48 შემთხვევაა ლაბორატორიულად დადასტურებული საქართველოში. მათგან 46 მიმდინარეობდა მსუბუქად და უმრავლესობა უკვე გამოჯანმრთელებულია. ორი შემთხვევა იყო საშუალო სიმძიმის და ისინიც უკვე გამოჯანმრთელდნენ.

***— გუშინ ერთ-ერთ სკოლაშიც დაფიქსირდა ვირუსი...***

— კი ბატონო, დაფიქსირდა, სკოლაშიც იქნება, ბაღშიც, უმაღლეს სასწავლებლებშიც და ყველგან.

***— რამდენად არის პანიკის საფუძველი?***

— არავითარი პანიკის საფუძველი არ არსებობს. მოსახლეობა იყო ინფორმირებული და ყველამ იცის, რომ მსოფლიოში არის პანდემია და საქართველოც მსოფლიოს ნაწილია. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

***— სკოლებისა და ბაღების ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად იღებს დახურვის გადაწყვეტილებას...***

— ჩვენ ვურჩევთ, რომ ასეთი გადაწყვეტილება ინდივიდუალურად არ მიიღონ და ეს ყოველთვის შეუთანხმონ ჯანდაცვის ორგანოებს. სკოლების დახურვა შეიძლება ორი მიზეზით იყოს განპირობებული. ეს არის ჯანდაცვის მოთხოვნის საფუძველზე და სასწავლო პროცესი იმის გამოა ჩაშლილი, რომ ბავშვები არ დადიან სკოლაში. დანარჩენ შემთხვევაში სკოლის დაკეტვა და თვითშემოქმედება არ მიმაჩნია სწორად.

***— ვირუსის პიკს, აფეთქებას, როდისთვის უნდა ველოდოთ?***

— შემთხვევათა რაოდენობა გაიზრდება. ეს დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, ბუნებრივზეც. ამის წინასწარ განჭვრეტა და ზუსტი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ნოემბრის ბოლოსთვის ველით შემთხვევათა მატებას.

***— მოსაზღვრე ქვეყნებში დაავადებამ პიკს მიაღწია. თუ არსებობს რაიმე მექანიზმი იმისა, როგორმე მოხდეს ქვეყნის დაცვა?***

— მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია იძლევა იმის რეკომენდაციას, რომ არ შეიზღუდოს გადაადგილება ქვეყნებს შორის და ამან არ იქონიოს მიმოსვლაზე გავლენა. მთელი მსოფლიო დღემდე ასე იქცევა. ალბათ, საქართველოც იმავე პოლიტიკას გაატარებს, რაც აბსოლუტურად გამართლებულია მსოფლიოს გამოცდილებით.

***— იქნებ გავარკვიოთ მოსახლეობა და ავუხსნათ, რა არის A(H1N1), იგივე „ღორის გრიპი“?***

— ეს გრიპი ახალი ვირუსია, რომელიც იწვევს ადამიანთა დაავადებას გრიპით. ახალი ვირუსი პირველად აშშ-ში 2009 წლის აპრილში დაფიქსირდა.



***— რატომ უწოდებენ მას „ღორის გრიპს“?***

— ახლად გამოვლენილ გრიპის ვირუსს თავიდან უწოდებდნენ ე.წ. „ღორის გრიპს“, რადგან ლაბორატორიულმა ტესტირებამ აჩვენა ამ ვირუსის გენეტიკური შემადგენლობების მსგავსება იმ გრიპის ვირუსისადმი, რომელიც ჩვეულებრივ ჩრდილო ამერიკაში ღორებში ცირკულირებს. შემდგომი კვლევებით დაადგინდა, რომ ეს ახალი ვირუსი მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩრდილო ამერიკაში მოცირკულირე ვირუსისაგან.

***— ღორები თუ არიან ამ ვირუსის მატარებლები და შეიძლება თუ არა, მათგან გადავიდეს ადამიანზე ეს დაავადება?***

— არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ ამჟამად ღორები არიან ინფიცირებულნი ამ ვირუსით, მაგრამ, ასევე ცნობილია, რომ ეს არის გრიპის ის ვირუსი, რომელსაც, ჩვეულებრივ, შეუძლია გრიპის გამოწვევა ღორებში. ჩვეულებრივ პირობებში ამ ვირუსით ადამიანთა დაინფიცირება არ ხდება, თუმცა გრიპის ვირუსი შეიძლება გადაედოს როგორც ღორისგან ადამიანს, ასევე — ადამიანისგან ღორს.

***— არის თუ არა გადამდები გრიპის ეს ახალი ვირუსი?***

— დღეს არსებული მონაცემებით, გრიპის ახალი ვირუსი გადამდებია და ვრცელდება ადამიანიდან ადამიანზე, თუმცა ამჟამად უცნობია, რამდენად იოლად ვრცელდება ვირუსი ადამიანებს შორის.

***— რა სიმპტომები ახასიათებს მას?***

— ამ ახალი ვირუსის სიმპტომები მსგავსია ჩვეულებრივი ადამიანის გრიპის სიმპტომებისა და მოიცავს შემდეგს: ცხელება, ხველა, ყელის, კუნთებისა და სახსრების, თავის ტკივილი, შემცივნება, საერთო სისუსტე, ზოგჯერ დიარეა, ახასიათებს მძიმე მიმდინარეობა და გარდაცვალება.

***— რამდნად მძიმედ მიმდინარეობს A(H1N1)-ით გამოწვეული დაავადება?***

— ამჟამად არ არის ცნობილი, რამდენად მძიმე მიმდინარეობა ექნება დაავადებას მოსახლეობაში. წარმოებს დაავადებულ ადამიანთა ისტორიების შესწავლა, რათა დადგინდეს, როდის არიან ისინი დაინფიცირების, მძიმე მიმდინარეობის ან ჰოსპიტალიზაციის განსაკუთრებული რისკის ქვეშ. სეზონური გრიპის დროს ცნობილია ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც იმყოფებიან განსაკუთრებული რისკის ქვეშ. ესენია: მცირე ასაკის ბავშვები, ორსულები, ქრონიკული დაავადების მქონენი, 65 წლის ასაკის ზევით მყოფი მოსახლეობა. დღეისათვის უცნობია, რომელი ჯგუფი იქნება ყველაზე მოწყვლადი ამ ახალი ვირუსისადმი. წარმოებს ლაბორატორიული კვლევები, რათა დადგინდეს, აქვს თუ არა მოსახლეობის რომელიმე ჯგუფს ბუნებრივი იმუნიტეტი ამ ვირუსისადმი.

***— როგორ ვრცელდება ზემოთ აღნიშნული გრიპი?***

— ვრცელდება ისევე, როგორც სეზონური გრიპის ვირუსი. ამჟამინდელი აფეთქება გამოწვეულია გრიპის ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემით. დაავადებული ადამიანის ხველის ან ცემინების დროს დაინფიცირებული წვეთები ხვდება მათ ხელებზე, აგრეთვე სხვადასხვა ზედაპირზე ან დისპერსირდება ჰაერში 1 მეტრის მანძილზე. ჯანმრთელი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს კონტამინირებული ჰაერიდან ან დაინფიცირებულ ხელებთან, ზედაპირთან შეხებისას, თუ იმავე დაუბანელი ხელით შეეხება საკუთარ თვალებს ან ცხვირპირს.

***— შეიძლება თუ არა, ადამიანი დაინფიცირდეს ღორის ხორცთან შეხებისას ან მისი საკვებად გამოყენების დროს?***

— არა, ვირუსის გადაცემა ამ გზით არ ხდება. თქვენ ვერ დაინფიცირდებით ამ გზით. სათანადოდ დამუშავებული ღორის ხორცი და მისი პროდუქტები აბსოლუტურად უსაფრთხოა.

***— როგორ დაიცვას თავი მოსახლეობამ ამ გრიპისგან?***

— დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გატარდეს გრიპის პრევენციის ზოგადი ღონისძიებები. მოერიდეთ კონტაქტს იმ ადამიანებთან, რომლებიც თავს შეუძლოდ გრძნობენ. აღენიშნებათ ცხელება და ხველა. ეცადეთ, არ შეეხოთ იმ ზედაპირებს, რომლებიც შეიძლება იყოს დაბინძურებული გრიპის ვირუსით. მოერიდეთ დაავადებულებთან კონტაქტს. ხშირად და საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით. ეცადეთ, იცხოვროთ ჯანსაღი ცხოვრების წესით.

***— არსებობს თუ არა ახალი ვირუსით გამოწვეული ინფექციის სამკურნალო საშუალებები?***

— მძიმე შემთხვევებში რეკომენდებულია, მკურნალობისთვის გამოყენებულ იქნეს „ოსლტამივირი“ ან „ზანამივირი“. ეს პრეპარატები ამცირებენ ორგანიზმში ვირუსის გამრავლებას. თუ ავად ხართ, ანტივირუსულმა პრეპარატმა შეიძლება შეამციროს დაავადების სიმპტომების გამოხატულება ან დააჩქაროს გამოჯანმრთელება. ასევე შეიძლება თავიდან

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ამერიკული არმიის სარდლობა კავკასიის რეგიონს ყურადღებით აკვირდება

დასავლეთ ევროპაში აშშ-ს არმიის გაერთიანებული შტაბის ისტორიკოსის ჯიმ მაკნოტონის განცხადებით, არმიის სარდლობა ყურადღებით აკვირდება კავკასიის მშფოთვარე რეგიონს.

მისი თქმით, 2008 წლის საქართველო-რუსეთის კონფლიქტმა გააფანტა მითი იმის შესახებ, რომ ომი ევროპის მიწაზე წარსულის საქმეა. მაკნოტონის აზრით, მსოფლიოში აშშ-ს დღევანდელი როლი ძველ და ახალ ევროპელ მოკავშირეებთანაა დაკავშირებული.

— ჩვენ მათი დაცვის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვართ. მათ ჩვენი წასვლა არ უნდათ, — აცხადებს მაკნოტონი.

**მედიანიუსი**

## ონის რაიონის სოფელ ნაკიეთის მოსახლეობა დახმარებას ითხოვს

ონის რაიონის სოფელ ნაკიეთის მოსახლეობა ზამთრის დადგომამდე დახმარებას ითხოვს.

ამის შესახებ სოფლის მოსახლეობამ „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერთან ირაკლი ალასანიასთან საუბრისას განაცხადეს. სოფელი 8 სექტემბერს მომხდარი ძლიერი მიწისძვრის დროს დაზარალდა.

როგორც სოფლის მცხოვრებლებმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, სოფელში 42 ოჯახია, რომელიც სოფელში იზამთრებს, მათ სახლებს მინიჭებული აქვთ პირველი უმძიმესი ან მეორე მძიმე კატეგორიის დაზიანება.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, ადგილზე გაეცნო ვითარებას და შემდეგ შეიმუშავებს გეგმას, თუ როგორ დაეხმაროს ამ ადამიანებს.

— პირველ რიგში, როდესაც თბილისში დავბრუნდებით, ცენტრალურ ხელისუფლებას მოვთხოვთ, სასწრაფოდ მოხედონ ამ ადამიანებს, ვინაიდან მიწისძვრით დაზარალებულებს არანაირი დახმარება არ მიუღიათ. მათთან არ მისულა არც ერთი თეთრი და დახმარება, რომელიც აქამდე უნდა მიეღოთ. გარდა ამისა, უყურადღებოდ არიან მიტოვებული და, პრაქტიკულად, განწირული არიან ზამთარში გარეთ დარჩენისთვის. როგორც ჩვენ გავარკვიეთ, ადგილობრივი ხელისუფლება პირველი კატეგორიის დაზიანების მქონე სახლების პატრონებს გაზაფხულზე ჰპირდება დახმარებას. საუბარიც არ არის მეორე კატეგორიით დაზიანებულ სახლებზე, — განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, ამ პრობლემების გადაჭრა ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს არ შეუძლიათ, თუ არ იქნება ცენტრალური ხელისუფლების ნება.

ნაკიეთის მოსახლეობა ამბობს, რომ მათთან სამი კომისია იყო მისული, მაგრამ არსებობს მხოლოდ სიტყვიერი დაპირება ხელისუფლების მხრიდან. არ გაფორმებულა არც ერთი კონკრეტული დოკუმენტი, რომელზეც მოხდებოდა ხელმოწერა სოფლის მაცხოვრებლებსა და ხელისუფლებას შორის, იქნებოდა ერთგვარი მავალდებულებელი დოკუმენტი, რაც ამ ადამიანებს საშუალებას მისცემდა, საჭიროების შემთხვევაში პასუხი მოეთხოვათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა, თუ სხვა პირებისთვის.მოსახლეობა აცხადებს, რომ საკუთარი ძალებით ცდილობენ საცხოვრებელი პირობების შექმნას, თუმცა ზამთარი რაჭაში რთულია და შეუძლებელია ნახევრად ჩამონგრეულ სახლებში ცხოვრება.

ამჟამად „ალიანსის“ წევრები ონში იმყოფებიან, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებიან.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ზალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## აზერბაიჯანის სასამართლომ საქართველოს მოქალაქე უდანაშაულოდ ცნო

აზერბაიჯანის უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადგილობრივი პროკურატურის სარჩელი და საქართველოს მოქალაქეს, რომელიც შეკვეთილი მკვლელობების ჩადენაშია ეჭვმიტანილი, ბრალდება საბოლოოდ მოეხსნა.

ადგილობრივი წყაროების ცნობით, საქართველოს მოქალაქე, ბოლნისის რაიონის მკვიდრი ფიზული მამედოვი ეჭვმიტანილი იყო 1991 წელს ბაქოში შეკვეთილი მკვლელობების ჩადენაში და მუგდატ ომაროვის ბანდის წევრობაში. სამართალდამცავთა მტკიცებით, ომაროვმა მამედოვმა ბიზნესმენ ვახიდ აგალაროვის მკვლელობა შეუკვეთა. ბიზნესმენის ბაქო-სამუხის გზაზე მოკლეს, რის შემდეგადაც, მისი ცხედარი დაწვეს.

ბაქოს რაიონულმა სასამართლომ მამედოვს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმცა, მსჯავრდენულმა ეს გადაწყვეტილება სუმგაითის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ სამხილების არ არსებობის გამო, მამედოვი სასამართლოს დარბაზიდან გაანთავისუფლა.

პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ სამართალდამცავების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**მედიანიუსი**

## ქორწინების რეგისტრაცია შესაძლოა უფასო იყოს

ქორწინების რეგისტრაცია შესაძლოა უფასო იყოს. აღნიშნულ საკითხს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონში“ ცვლილებების პროექტი და „სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს.

კანონპროექტთა პაკეტით, უქმდება სახელმწიფო ბაჟი ყველა იმ მომსახურებისთვის, რასაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ეწევა. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კი გადადის სამოქალაქო რეესტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურში.

თუმცა, კანონპროექტი არ აწესებს საფასურს სარიტუალო მომსახურების გარეშე ქორწინების რეგისტრაციისთვის, შესაბამისად, ასეთი ქორწინების რეგისტრაცია უფასო გახდება.

კანონპროექტთა პაკეტის ავტორები დეპუტატები ლაშა თორდია, კახა ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა არიან. კანონპროექტთა პაკეტის განხილვა პარლამენტში მიმდინარე კვირას დაიწყება.

**ინტერპრესნიუსი**

## მთავრობა ვაზის გაჩეხისთვის გლეხს 1000 ლარს გადაუხდის

როგორც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია გოზალიშვილმა გუშინდელ თათბირზე განაცხადა, საქართველოს მთავრობა გლეხს ვაზის გაჩეხის სანაცვლოდ 1000 ლარს გადაუხდის. გამგებლის განმარტებით, ვაზის იმ კატეგორიაზეა საუბარი, რომლის მოსავლის ჩაბარებაზეც ყოველწელს პრობლემები იქმნება, — იუწყება რადიო „ჰერეთი“.

— მიღებული თანხით გლეხს შეუძლია გაჩეხილი ვაზის მაგივრად სხვა, შედარებით უკეთესი ჯიშები გააშენოს ან მრავალწლიანი კულტურის სახეობები დარგოს. მაგალითად: ატამი, - განაცხადა გოზალიშვილმა.

ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას ვაზის გაჩეხისთვის გამოყოფილი კომპენსაციის გამო ხშირად აკრიტიკებენ. მათი განცხადებით, დღევანდელი ხელისუფლება შაჰაბასზე უარესს აკეთებს, რადგან ვაზის გაჩეხვაში ფულს იხდის.

**მედიანიუსი**

# ზვიად გამსახურდიას ნეშტს ექსპერტიზას ჩაუტარებენ?!

### იგორ გიორგა ესა და შოთა კვირაიას გამსახურდიას კომისია ვერ დაკითხავს

ნანა მიშელაშვილი

**გუშინ პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დროებითი საპარლამენტო კომისიის პირველი სხდომა შედგა. სხდომას უპრობლემოდ არ ჩაუვლია. მართალია, უკვე გადაწყვეტილია, რომ პარლამენტის დროებით კომისიას საგამოძიებო სტატუსი არ ექნება, თუმცა, ეს საკითხი მაინც დადგა.**

ვიდრე დეპუტატები იმის გარკვევას დაიწყებდნენ, კომისია საგამოძიებო უნდა იყოს თუ არა, მანამდე საორგანიზაციო საკითხები გადაწყვიტეს.

კომისის პირველ სხდომას 7 დეპუტატი ესწრებოდა, არადა, კომისია 11-წევრიანია. კომისიის სხდომას 4 დეპუტატი არ ესწრებოდა, კერძოდ, ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ 2 წევრი — ნუგზარ ერგემლიძე და რომან მარსაგიშვილი, „ქრისტიან-დემოკრატი“ ლევან ვეფხვაძე და უმრავლესობის წევრი რატი სამყურაშვილი. ამ დეპუტატების სხდომაზე არყოფნის მიზეზი გაურკვეველია.

ეს პირველი სხდომა იყო, რომელსაც რამდენიმე დეპუტატი არ ესწრებოდა. ისე, პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს, როგორ უნდა გადაწყდეს სხდომის გამცდენი დეპუტატების საკითხი. კერძოდ, დროებითმა კომისიამ თავისი შემადგენლობიდან შეიძლება გაიწვიოს წევრი, თუ იგი არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 2 კვირის განმავლობაში არ მონაწილეობდა დროებითი კომისიის მუშაობაში და ან არ ესწრებოდა დროებითი კომისიის სხდომებს. კომისია აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების არანაკლებ ორი მესამედით, რის შესახებაც ეცნობა პარლამენტს.

ასე რომ, თუ დეპუტატები კომისიის სხდომებს ზედიზედ, არასაპატიო მიზეზით გააცდენენ, მათი კომისიიდან მათი გაწვევის საკითხი დადგება.

გუშინდელ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი აირჩიეს. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე უმრავლესობის წევრი ლაშა თორდია გახდა, ხოლო მდივანი — „ქრისტიან-დემოკრატი“ რატი მაისურაძე.

კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე გამსახურდიამ განმარტა, რომ კომისია სამი პუნქტის მიხედვით იმუშავებს. პირველი ნაწილის თანახმად, კომისია შესაბამისი ორგანოებიდან ყველა ოფიციალურ დოკუმენტს, აუდიო და ვიდეო მასალას გამოითხოვს, რომელიც ზვიად გამსახურდიასთან არის დაკავშირებული.

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, კომისია ასევე ძირითადად შეისწავლის 1992 წლის 6 იანვრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს. მეორე ნაწილის თანახმად, კომისიამუნდა შეადგინოს იმ ადამიანების სია, ვინც მონაწილე იყო მიმდინარე პროცესების და ვისაც შეუძლია კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდება.

კომისია მესამე ნაწილად წარმოადგენს დასკვნას, თუ რა მიზეზების გამოწვევით გარდაიცვალა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, კომისიაში ასევე მოწვეული იქნებიან ექსპერტები, იურისტები, ფსიქოლოგები.

კომისიასთან დაკავშირებით თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო, თუმცა, გუშინ უმრავლესობის წევრმა ბეჟან ხურციძემ პირადი მოსაზრება გამოთქვა და მოითხოვა, რომ კომისია საგამოძიებო ფორმატის იყოს. კომისიისთვის საგამოძიებო სტატუსის მინიჭებას თავად კომისია რომ ვერ გადაწყვეტს და ეს პარლამენტის გადასაწყვეტია, ამის შესახებ კომისიის წევრებმა განმარტება გააკეთეს.

— ეს კომისია შინაარსობრივად არის თუ არა საგამოძიებო კომისია? — იკითხა უმრავლესობის წევრმა ბეჟან ხურციძემ.

ხურციძეს როგორც უმრავლესობის წევრებმა, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა უპასუხეს.

— ეს კომისია შინაარსობრივად საგამოძიებო კომისიაა, თუმცა, ვერდიქტი მხოლოდ სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს. ჩვენ შეგვიძლია საკითხი შევისწავლოთ და დასკვნა



დავდოთ, — განუმარტა კონსტანტინე გამსახურდიამ უმრავლესობის წევრს.

— ეს ფორმატი შეესაბამება იმ ფორმატს, რომელიც ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული, — უთხრა უმრავლესობის წევრმა ლაშა თორდიამ ბეჟან ხურციძეს.

ჯონდი ბაღათურიამ ბეჟან ხურციძეს შეახსენა, რომ კომისია საგამოძიებო იყოს თუ არა, ამ საკითხზე კონსულტაციები კომისიის შექმნამდეც მიმდინარეობდა.

— კონსულტაციებიდან გამოიკვეთა, რომ ეს კომისია ასეთი სახის იყოს და არა საგამოძიებო, — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

ამ განმარტებების მიუხედავად, ბეჟან ხურციძემ აღნიშნა, რომ ბევრი გენერალი იქნება სანახავი და კომისიაში გამოსაძახებელი, ამიტომ კარგი იქნებოდა კომისიას საგამოძიებო ფუნქციები ჰქონდეს.

— არ მინდა კრება დარჩეს მხიარული და კომისია კომისიისთვის არსებობდეს. მოსკოვშია შოთა კვირაია და იგორ გიორგაძე, მაშინ მათ კონკრეტული დავალებები ჰქონდათ. მარტო სამეგრელოში მყოფ გლეხებს ხომ არ უნდა გავესაუბროთ? — აღნიშნა ბეჟან ხურციძემ.

ამის შემდეგ განმარტებები კონსტანტინე გამსახურდიამ გააკეთა. მან იმ ოპონენტებზე ისაუბრა, ვინც ამბობენ, რომ კომისია ვერანაირ ჭეშმარიტებას ვერ დაადგენს და მხოლოდ რიტორიკა იქნება.

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, კომისია მუშაობას სუფთა ფურცლიდან იწყებს და კომისიაში ახსნა-განმარტებისთვის ის ადამიანები იქნებიან გამოძახებული, ვინც უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ მოვლენებთან, რომელიც პირველ პრეზიდენტს შეეხება.

ჟურნალისტებთან საუბარში კომენტარი გააკეთა ბეჟან ხურციძემ. ის არ გამორიცხავს, რომ კომისიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღოს.

— ვთვლი, რომ კომისია უნდა იყოს საგამოძიებო, იმიტომ, რომ მას მეტი ძალა აქვს. ეს არის ნამდვილად გამოსაძიებელი საკითხი, ამიტომ უნდა იყოს საგამოძიებო კომისია, — აღნიშნა ბეჟან ხურციძემ.

ჟურნალისტებთან საუბრისას კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქვეყანას არ სჭირდება დეკლარაციები, ერთადერთი, რაც ესაჭიროება, ეს არის სრული სიმართლე და რეალური სურათი, რა მოხდა თუნდაც 1993 წლის შემოდგომაზე.

— დეკლარაციები, ზოგადი შინაარსის განცხადებები და მორალის კითხვა ნამდვილად არავის არ სჭირდება, — აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

კომისიის წევრის ჯონდი ბაღათურიას შეფასებით, ბევრი პოლიტიკური ძალა, რომელიც ადრე ასეთი ტიპის კომისიის შექმნას ცდილობდა, ერთგვარი კონკურენციის რეჟიმით განეწყო და ცდილობს პარლამენტის კომისია წარმოაჩინოს ერთგვარი დაკნინებული სახით.

ჯონდი ბაღათურიას თქმით, კომისიასთან დაკავშირებით უმრავლესობასთან კონსულტაციები მიმდინარეობდა და ბეჟან ხურციძე იმ პლენარულ სხდომას ესწრებოდა, სადაც ეს საკითხი განიხილებოდა.

ბაღათურია განმარტავს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ფაქტორიდან გამომდინარე, კომისიას პრობლემა არ ექნება ფიზიკურ პირებთან ითანამშრომლოს.

რაც შეეხება იგორ გიორგაძეს და შოთა კვირაიას, რომლის გვარებიც დეპუტატმა ბეჟან ხურციძემ კომისიის სხდომაზე დაასახელა, ამასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს ჯონდი ბაღათურია.

— იგორ გიორგაძე ინტერპოლის წითელი ცირკულარით არის ძებნილი, ვერ ჩამოჰყავთ და ჩვენი კომისია როგორ ჩამოიყვანს? ეს ბეჟან ხურციძემ აქ ხომ არ აღმოაჩინა? რაც შეეხება კვირაიას, ის რუსეთშია, თუ კვირაია და გიორგაძე ჩამოსვლაზე უარს იტყვიან, კომისია ვერ აიძულებს ჩამოვიდნენ, რადგან ვერც სახელმწიფოს ვერ ჩამოჰყავს. ყველამ იცის, რომ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები საქართველოდან წავიდნენ, რომელთა ჩამოყვანა შეუძლებელია. ამიტომ, ამ საკითხის ახლა აღმოჩენა უმრავლესობის წევრის მხრიდან მე ძალიან მაკვირვებს, — აღნიშნა ბაღათურიამ.

პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის ინიციატორი ბაღათურია ამბობს, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ძალის ლიდერი პარლამენტის კომისიის მიმართ შურით განეწყო და ამ კომისიის დაკნინებას ცდილობს.

— ეს არის ბრძოლა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე. ასეთი ადამიანები არიან, რომელთაც ვერ გაიაზრეს ამ კომისიის მნიშვნელობა და გულწრფელად ვერ უდგებიან საკითხს, — ასკვნის ბაღათურია.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ჟურნალისტებთან საუბრისას კომისიის თავმჯდომარემ კომენტარი გააკეთა, შეეხება პირველი პრეზიდენტის ნეშტის ექსგუმაციის თემას. კონსტანტინე გამსახურდია ზვიად გამსახურდიას ნეშტის ექსგუმაციის საჭიროებას ვერ ხედავს.

კონსტანტინე გამსახურდიამ ხაზი გაუსვა, რომ ორი წლის წინ, როსტოვის ინსტიტუტში ექსპერტიზა ჩატარდა და დეტალური ანალიზის შედეგად დასკვნა დაიდო. კონსტანტინე გამსახურდია კომისიაში სწორედ ამ დასკვნის ავტორების მოსმენას გეგმავს.

გამსახურდიას თქმით, როსტოვის ინსტიტუტმა დაადგინა ტყვიის ძალიან უხერხული ტრაექტორია და დაადასტურა, რომ გასროლას ახლო მანძილიდან ჰქონდა ადგილი. გამსახურდია ასევე საუბრობს იმაზე, რომ საქმეში არ არის ტყვიის მასრა და გულა, რაც ეჭვებს ბადებს.

პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელი დროებითი კომისიის მეორე სხდომის თარიღის შესახებ გუშინ არაფერი თქმულა. სავარაუდოდ, კომისია იმ კვირაში შეიკრიბება.

## ჯანდაცვის მინისტრი ვეტერანებს კომპენსაციის გაზრდის საკითხში ლობირებას გაუწევს



ჯანდაცვის მინისტრი ვეტერანებს კომპენსაციის გაზრდის საკითხში ლობირებას გაუწევს.

ჯანდაცვის სამინისტროს შენობასთან გუშინ მიმდინარე „ქრისტიან-დემოკრატებისა“ და ვეტერანების აქციის მსვლელობისას მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა აქციის ორგანიზატორებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

კვიტაშვილი ჯანდაცვის სამინისტროში „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერებს მაგდა ანიკაშვილს, გიორგი ახვლედიანს და ვეტერანთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა დაახლოებით 45 წუთი გრძელდებოდა და ორივე მხარის შეთანხმებით დასრულდა. „ქრისტიან-დემოკრატების“ შეთავაზებით, მინისტრი ვეტერანთა კომპენსაციის ეტაპობრივად გაზრდის საკითხს პრეზიდენტის წინაშე დააყენებს და მას ლობირებას გაუწევს.

შეხვედრაზე „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მინისტრს ამასთან დაკავშირებით მათი ფრაქციის საპარლამენტო ინიციატივა გააცნეს. კერძოდ, გიორგი ახვლედიანმა მინისტრს აუხსნა, რომ ისინი „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიების შესახებ კანონიდან“ ამოღებული გადაანგარიშების წესის აღდგენას ითხოვენ, რომლითაც დღეისთვის ძალოვანი სტრუქტურებისა და ომის ვეტერანთა კომპენსაციის ოდენობა ძალიან მიზერულია. ამასთან, 2004 წლიდან დანიშნული ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა პენსია სოლიდურია და 560 ლარს შეადგენს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ პრეზიდენტის წინაშე საკითხის დასაყენებლად საჭიროა პირველ ეტაპზე შეირჩეს ყველაზე მეტი დამსახურების მქონე ვეტერანთა რაოდენობა და მოხდეს მათთვის ახალი წესით კომპენსაციის ოდენობის გამოთვლა. შეხვედრაზე ითქვა, რომ ამისთვის შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ვეტერანებიც შევლენ და მათთან ერთად მოხდება ვეტერანებისთვის სასურველი კომპენსაციის ოდენობის განმსაზღვრელი ფორმულის შერჩევა. ყოველივე აღნიშნული 10 დღის ვადაში უნდა გადაწყდეს.

მიღებული გადაწყვეტილება შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ აქციის მონაწილეებს გააცნეს.

**ინტერპრესნიუსი**

## კუდ-მა თაღლითობაში ეჭვმიტანილი დააკავა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ) თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თაღლითობაში ეჭვმიტანილი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ამირან ფარტენაძე მოქალაქეებს პირდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში დასაქმებას და სანაცვლოდ მოტყუებით სძალავდა 500 ლარს. დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას აწარმოებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

**ინტერპრესნიუსი**

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე **30-30** და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე **30-30** და
ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**
*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# რუსეთი მორიგ აგრესიას გვიმზადებს

## გრიგორი კარასინი შესაბამისი ზომების მიღებით იმუქრება

თეა მარხვაი ე

ორი დღის წინ რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა საქართველოს არმიის გადაიარაღებასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გაავრცელეს. რუსული სპეცსამსახურების მტკიცებით, უახლოეს მომავალში საქართველოს ამერიკისგან 100 მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღებას მიიღებს.

ასეთი ინფორმაციები რუსულ პრესაში ადრეც არაერთხელ გამოჩენილა, რაზედაც ოფიციალურ თბილისს არანაირი რეაქცია არ ჰქონდა. 9 ნოემბერს გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კი ოფიციალური განცხადება გააკეთა, რითაც ქართულმა მხარემ წინასწარ დაიზღვია თავი.

საქმე ისაა, რომ ბოლო ხანებში რუსმა ძალოვანებმა საქართველოზე საუბარს მოუხშირეს. გრუ-ს უფროსის ალექსანდრ შლიახტუროვის მტკიცებით, საქართველო ახალი ომისთვის ემზადება. მან ის ქვეყნებიც ჩამოთვალა, რომლებიც საქართველოს იარაღს აწვდიან. რამდენიმე დღის შემდეგ კი ამ თემასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციები გამოქვეყნდა.

რუსულ სპეცსამსახურებზე დაყრდნობით „იტარ-ტასმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, თუ რა სახის შეიარაღებას აწვდის ამერიკა საქართველოს. რუსი ძალოვანების განცხადებით, ამერიკა საქართველოს ასი მილიონი დოლარის ღირებულების შეიარაღებას სთავაზობს.

„იტარ-ტასმა“ სპეცსამსახურებთან ისიც გაარკვია, რომ საქართველოს იარაღს ამერიკული კომპანია „ბარინგტონ ალიანსი“ მიაწვდის. სააგანტოს მტკიცებით, „ბარინგტონ ალიანსმა“ საქართველოს ისეთი ტიპის შეიარაღება უნდა მიაწოდოს, როგორიცაა „პეტრიოტები“, „სტინგერები“, „ჯაველინები“ და „ჰელფაირები“.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები ქართველებს ყოველთვის გვიჭირდა. ამდენად, ურიგო არ იქნებოდა, თუ „სტინგერებით“ ვინმე მოგვამარაგებდა. თუმცა, როგორც ოფიციალური თბილისი იუწყება, მომავალში



არანაირი „სტინგერები“ და „ჰელფაირები“ არ გვეჯღანება.

სამაგიეროდ, რუსეთიდან გვეჯღანება მორიგი პროვოკაცია. ამაზე რუსი ძალოვანების გაკეთებული განცხადებებიც მეტყველებს. რუს გენერლებს გრიგორი კარასანიც შეუერთდა.

კარასინისგან ანტიქართული განცხადებების გაკეთებას ყველანი მიჩვეულები ვართ. ის განსაკუთრებით აგვისტოს ომის წინ დაგვჩხაოდა თავზე ყვავივით. ბოლო ხანებში ის დუმდა. ვილაცეებმა ეს ზურაბ ნოღაიდელსაც კი დააბრალეს. ამას წინათ ნოღაიდელი მოსკოვს სტუმრობდა, სადაც ის გრიგორი კარასინის შეხვდა. შეხვედრიდან ის ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა. მისთვის რომ დაგვეჯერებინა, კარასინის პირიდან ანტიქართული განცხადება აღარ უნდა ამოსულიყო.

სანამ ნოღაიდელი მოსკოვში იყო, კარასინს ანტიქართული არაფერი დასცდენია. საკმარისი იყო ექსპრემიერი საქართველოში ჩამოსულიყო, რომ კარასინმა ისევ ჩვენი წყევლა და კრულვა განაგრძო.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ კარასინი აღშფოთებულია. მისი განცხადებით, ძალიან ცუდია, რომ ამერიკა საქართველოს შეიარაღებას ისევ აგრძელებს. ამის გამო კი, კარასინის თქმით, რუსეთი იძულებული გახდება სათანადო ზომებს მიმართოს.

რუს ძალოვანებზე მეტად ქართული მხარე კარასინის განცხადებამ შეაშფოთა. საქართველოს საგარეო უწყება ამ საეჭვო განცხადებებს ოფიციალურად გამოეხმაურა. ვაშაძის უწყებამ ლავროვისას შეუთვალა, სხვა ქვეყნებს მიხედეთ და რაც იკისრეთ, ის შეასრულეთო.

— სხვა ქვეყნების ურთიერთობების კომენტირების ნაცვლად, უპრიანი იქნებოდა, რუსეთმა იზრუნოს საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე, უარი თქვას თავისი სამხედრო პოტენციალის უკონტროლო გაზრდაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6 პუნქტიან შეთანხმებას და ამ შეთანხმების მოთხოვნის შესაბამისად, გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, — ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

ჩვენი საგარეო უწყება კარასინის ნახსენებ შესაბამის ზომებსაც ეხმაურება. თბილისში მიაჩნიათ, რომ ამ განცხადებაზე დასავლეთმაც უნდა გაამახვილოს ყურადღება.

— რუსეთი ამბობს, რომ ის შესაბამის ზომებს გამოიყენებს. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კარგადაა ცნობილი, თუ კონკრეტულად რას შეიძლება გულისხმობდეს რუსეთის მხარე, რომელმაც თავისი საგარეო პოლიტიკის მთავარ იარაღად სამხედრო აგრესია და ინტერვენცია, სუვერენული ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად მარიონეტული რეჟიმების შექმნა აქცია. ყოველივე ზემოაღნიშნული იმის საკმარის საფუძველს გვაძლევს, რომ ყურადღებით დავაკვირდეთ რუსეთის მხარის მიერ წარმოებულ ანტიქართულ კამპანიას, რომელიც ძალზე წააგავს, კიდევ ერთი შესაძლო სამხედრო აგრესიის „პროპაგანდისტულ უზრუნველყოფას. იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისათვის გასაგებია, თუ რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის ამგვარ დეზინფორმაციულ და აგრესიულ რიტორიკას. ამ ფონზე საერთაშორისო თანამეგობრობას არანაირი ეჭვი აღარ უნდა რჩებოდეს იმის თაობაზე, თუ საიდან მოდის რეალური საფრთხე არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ რეგიონალური და ევროპული უსაფრთხოებისათვის, — მიაჩნიათ საქართველოს საგარეო უწყებაში.

რუსეთი რომ ყველასთვის საფრთხის მომტანია, ეს უცხო და საკვირველი არავისთვის არ არის. აი, ჩვენი ხელისუფლების პოზიცია კი მართლაც გასაკვირია. ამ დაძაბული ვითარების ფონზე საქართველომ რატომღაც რუსეთთან სახმელეთო საზღვრის გახსნა გადაწყვიტა.

რუსული აგრესიით გვაშინებენ და იმავდროულად გვამშვიდებენ, ლარსის გახსნა საფრთხის მომტანი არ არისო.

## თორთლაძე მოზარდების გატაცების შესახებ განცხადებას ერგნეთში გააკეთებს

ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძე ცხინვალის რეჟიმის მიერ 4 ქართველი მოზარდის დაკავებას დღეს ერგნეთის საგუშაგოდან გამოეხმაურება.

— ჩავალ ერგნეთის საგუშაგოსთან და ბავშვების გატაცების თაობაზე საგანგებო განცხადებას გავაკეთებ. რა თქმა უნდა, განცხადების შინაარსი და დეტალები იქ გახდება ცნობილი. ჯერჯერობით კი მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და არა რაიმე მორიგი განცხადება, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გია თორთლაძემ. მისი თქმით, ერგნეთში ჩასვლას ანტიკრიზისული საბჭოდან მხოლოდ თავად გეგმავს.

სოფელ ტირძნისის მცხოვრები 4 არასრულწლოვანი - გიორგი რომელაშვილი, ალეკო საბაძე, ვიქტორ ბუჩუკური და ლევან ხმიადაშვილი ოსმა მილიციელებმა 4 ნოემბერს დააკავეს. ცხინვალის რეჟიმი მათ ბრალად ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შენახვასა და ე.წ. სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას სდებს. საქართველოს ხელისუფლება მოზარდების გათავისუფლების საქმეში დახმარებას საერთაშორისო თანამეგობრობას სთხოვს.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ჩამოსულ უკრაინელ ჩინოსანს „ღორის გრიპი“ აღმოაჩნდა

სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში საქართველოში ვიზიტად მყოფ უკრაინის დელეგაციის ერთ-ერთ წევრს ე.წ. „ღორის გრიპის“ ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები აღმოაჩნდა.

როგორც „პირველს“ სანდო წყარომ აცნობა, ღორის გრიპის შტამის სიმპტომებიანი უცხოელი გამოკვლევისთვის კლინიკაში გადაიყვანეს.

აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება „პირველმა“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სცადა, სადაც ეს ცნობა არც უარყვეს და არც დაადასტურეს. როგორც ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, ამ უწყებას უფლება არ აქვს, კონკრეტული ავადმყოფის ვინაობა დაასახელოს.

როგორც ცენტრში აცხადებენ, ამ დროისთვის საქართველოში „ღორის გრიპის“ ვირუსით ინფიცირების სულ 48 შემთხვევაა დაფიქსირებული, მათგან 9 ბოლო სამი დღის განმავლობაში გამოვლინდა.

**პირველი**

## ნოღაიდელის პარტიამ აჭარა მოიარა

მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის“ გუშინ აჭარის სამ რაიონულ ორგანიზაციაში კონფერენციები ჩაატარა.

პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ხულოს, შუახევისა და ქედას რაიონებში გამართულ ღონისძიებებს მოძრაობის ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი დაესწრო.

ნოღაიდელმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა როგორც საგარეო პოლიტიკაზე, ისე ქვეყნის შიგნით არსებულ მწვავე პრობლემებზე. მან ასევე ისაუბრა აჭარის მოსახლეობისთვის ისეთ მტკივნეულ საკითხზეც, როგორიც არის ციტრუსის მოსავლის რეალიზაცია.

ღონისძიებებზე რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და გამგეობები აირჩიეს. მოძრაობის ხულოს რაიონული ორგანიზაციის გამგეობა არჩეული იქნა 7 კაცის შემადგენლობით, თავად რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელად კი - ვაჟა ზოიძე. შუახევის ორგანიზაციის გამგეობა 9 წევრით იქნება წარმოდგენილი, რომლის ლიდერი ნოდარ ქარცივაძე, ამავე დროს, შუახევის რაიონის საკრებულოს წევრია. მოძრაობის ქედას რაიონული ორგანიზაციის გამგეობაც 9 კაცისგან შედგება. ქედაში ზურაბ ნოღაიდელის პარტიულ ორგანიზაციას ჯამბულ ბერიძე უხელმძღვანელებს.

პრესსამსახურის ინფორმაციით, ადგილობრივი ხელისუფლება პარტიული კონფერენციების ჩატარებისთვის ხელის შეშლას შეეცადა. კერძოდ, იყო ღონისძიების მონაწილეთა ტრანსპორტით გადაადგილების შეფერხების მცდელობა. ამასთან, ხულოში მობილიზებულნი იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ დაერწმუნებინათ კონფერენციის დელეგატები, რომ “ღონისძიებაზე დასწრება საჭირო არ იყო“.

— მიუხედავად ამისა, მოძრაობის ხულოს, შუახევის და ქედას რაიონული ორგანიზაციების კონფერენციები ორგანიზებულად ჩატარდა, — აღნიშნავენ პრესსამსახურში.

**ინტერპრესნიუსი**

## როდის უნდა ველოდოთ „ღორის გრიპის“ პიკს

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

ავიცილოთ დაავადების შემდგომი სერიოზული გართულებები. ამჟამინდელი აფეთქების შემთხვევაში ანტივირუსული პრეპარატების გამოყენების პრიორიტეტია მძიმედ მიმდინარე შემთხვევების მკურნალობა.

***— როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ავად ვართ?***

— თუ გაქვთ გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომები, ანუ მაღალი ტემპერატურა, მტვრევის შეგრძნება სხეულში, ყელის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება ან დიარეა, დაუკავშირდით თქვენს ექიმს ან სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს და აცნობეთ, რა სიმპტომები გაქვთ. ამ დაავადების შემთხვევაში გაითვალისწინეთ ის რჩევები, რომლებსაც მიიღებთ. ბავშვებში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საგანგაშო სიმპტომებია: გახშირებული ან გართულებული სუნთქვა, კანის სილურჯე, სითხის სმის შემცირება, მივარდნილობა, არაკონტაქტურობა, გაღიზიანებადობა, გრიპისმაგვარი სიმპტომების გაუმჯობესების მიუხედავად, მაღალი სიცხე და ხველა, ცხელება და გამონაყარი.

***— რაც შეეხება მოზარდებს, მათში როგორ გამოიხატება სიმპტომები?***

— გახშირებული ან გართულებული სუნთქვა, ტკივილის ან სიმძიმის შეგრძნება გულმკერდის ან მუცლის არეში, უეცარი თავბრუსხვევა, მძიმე ან შეუჩერებელი პირღებინება.

# რუსეთის პატრიარქი საქართველოში ჯერ არ ჩამოვა

## რატომ გვიანდება პატრიარქ კირილის ვიზიტი

თეა მარხვაი ე

**6 ნოემბერს ბაქოში საქართველოს პატრიარქი ილია მეორე რუსეთის პატრიარქს შეხვდა. ბოროტი ხმების მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება ამ შეხვედრას ეწინააღმდეგებოდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს შეხვედრა მაინც შედგა. საზოგადოება ამ შეხვედრაზე დიდ იმედებს ამყარებს, პირველ რიგში, ალბათ, ჩვენი პატრიარქის ავტორიტეტის გამო. ამასთან, გასათვალისწინებელია რუსეთის საპატრიარქოს პოზიციაც. რუსული ეკლესია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს. ამის შესახებ რუსეთის საპატრიარქოს არაერთი განცხადება აქვს გაკეთებული.**



როგორც საქართველოს საპატრიარქოში განმარტავენ, რუსეთის პატრიარქი ილია მეორეს რუსული ეკლესიის მეთაურის რანგში პირველად შეხვდა. ამ შეხვედრამ თბილ ატმოსფეროში ჩაიარა, თუმცა საქართველოს პატრიარქმა რუსული ეკლესიის მეთაურს გარკვეული პრეტენზიები წაუყენა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო არასოდეს შეურიგდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას და ეს უნდა კარგად ესმოდეს როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებას რუსეთში. საუბარი ასევე შეეხო ორ ეკლესიას შორის არსებული პრობლემების მოგვარების გზებს, მათ შორის კონფლიქტურ რეგიონებშიც.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II პატრიარქ კირილეს წარუდგინა იღუმენი ვახტანგი (ლიპარტელიანი), რომელიც გაიგზავნება მოსკოვის ქართულ ეკლესიაში მსახურებისთვის.

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია საქართველოში რვა ნოემბერს დაბრუნდა. იმ დღესვე გავრცელდა ცნობა იმის თაობაზე, რომ პატრიარქი კირილი საქართველოში ჩამოვიდოდა.

ილია მეორემ ის მართლაც მოიწვია საქართველოში. რუსეთის პატრიარქმა ამ მოწვევაზე თანხმობა განაცხადა. თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთის პატრიარქი საქართველოს ჯერ ვერ ეწვევა, რაც მოსკოვსა და თბილისს შორის გართულებულ ურთიერთობებს სულაც არ უკავშირდება.

კირილის საქართველოში შესაძლო ვიზიტთან დაკავშირებით გუშინ რამდენიმე განცხადება გაკეთდა.

— გავრცელდა ინფორმაცია, საქართველოში რუსეთის პატრიარქის შესაძლო ვიზიტის შესახებ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ამ თემაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი, რადგანაც საეკლესიო კანონიკის მიხედვით, რუსეთის ახლად არჩეული პატრიარქი ჯერ უნდა ეწვიოს დიპტიხით საქართველოს ეკლესიაზე წინ მდგომ მართლმადიდებელ ეკლესიებს, — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რუსულმა საააგენტო „ინტერფაქსმა“ კი გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოში რუსეთის პატრიარქის ვიზიტზე საუბარი ნაადრევია.

— სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქის ქართულ ეკლესიაში სტუმრობის სავარაუდო დროზე ჯერ ძნელია საუბარი, — აღნიშნა მოსკოვის საპატრიარქოს შიდა საეკლესიო კავშირების პროტოდიაკონმა ნიკალაი ბალაშოვმა.

ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ მედიაში ბოლო დღეებში საუბარი იყო რუსეთის პატრიარქის საქართველოში ვიზიტზე. კერძოდ, იმაზე, რომ ბაქოში ვიზიტის დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა რუსეთის პატრიარქი საქართველოს ეკლესიაში მიიწვია.

— პატრიარქმა კირილმა დაადასტურა თავისი განზრახვა, ეწვიოს მართლმადიდებელ ეკლესიებს დიპტიხის რიგითობის მიხედვით, — განაცხადა პროტოდიაკონმა ნიკალაი ბალაშოვმა.

მისივე თქმით, ამ დროისთვის პატრიარქ კირილის მხოლოდ ალექსანდრიაში ვიზიტი იგეგმება, რომელსაც დიპტიხში მეორე ადგილი უჭირავს.

2009 წლის ივლისში რუსეთის პატრიარქი პირველი ოფიციალური ვიზიტით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უკვე ესტუმრა.

როგორც „ინტერფაქსს“ რუსეთის საპატრიარქოში განუმარტეს, დღეისთვის ღვთისმსახურების სიის მიხედვით მართლმადიდებელი ეკლესიები 15 იურისდიქციისგან შედგება — კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოს, სერბიის, რუმინეთის, ბულგარეთის, კვიპროსის, ელადის, ალბანიის, პოლონეთის და ჩეხეთის მართლმადიდებელი ეკლესიები.

# საარჩევნოდ ფულს მაინც ვიშოვით!

## მზად ვართ, ალიასანია ნებისმიერ ოპოზიციონერს შევაჯიბროთ

შორენა კოწოწაშვილი

**„ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერები ადგილობრივ არჩევნებში ბარიერის დაწესებას ითხოვენ, ხელისუფლება კი ამაზე არ მიდის და ამით იმ ტოტს ინარჩუნებს, რომლითაც არჩევნების მოგებას ცდილობს. ალიანსის ლიდერები არ გამორიცხავენ, რომ თუ ხელისუფლება მათ წინადადებას არ დათანხმდება, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვან.**

რა თანხებს ხარჯავს გიგი უგულავა წინასაარჩევნო კამპანიაში, სად მიდის თბილისის ბიუჯეტი, რა სახის კონსულტაციები იმართება ოპოზიციურ ძალებს შორის და რისი იმედი აქვთ არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ ძალებს? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან" ახალი მემარჯვენეების წევრი მანანა ნაჭყებია საუბრობს.

*— ქალბატონო მანანა, ალიანსი საქართველოსთვის ლიდერები მუდმივად აფიქსირებთ, რომ ევროპა არ დაუშვებს საქართველოში გაყალბებული არჩევნების აღიარებას. ევროპის მხარდაჭერის იმედად ხართ ადგილობრივ არჩევნებში? რა გაძლევთ ამ მხარდაჭერის იმედს — სიტყვიერი განცხადებები?*

— ამის საფუძველს გვაძლევს შეხვედრები იგივე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ჩვენი მეგობარი ქვეყნების ელჩებთან და სხვა დონის შეხვედრები, რომელიც იმართება და დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალშიც გაიმართება ალიანსის ლიდერების მიერ. სხვადასხვა დონეზე გვაიმედებენ და გვეუბნებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არჩევნების გზას ავირჩევთ, მათი მხრიდან საკმაოდ სერიოზული ზეწოლა იქნება, რომ აქ საარჩევნო გარემო მოწესრიგდეს.

*— რამდენად იგრძნობა ხელისუფლების მზადყოფნა, რომ საარჩევნო გარემო მოაგვაროს?*

— ხელისუფლებას რომ არ ექნება პოლიტიკური ნება, რაიმე დათმოს ოპოზიციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლის გარეშე, ეს ცხადია. საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებით უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება დანარჩენი ოპოზიციური სპექტრის ერთიანობას მოთხოვნების საკითხში, ამასთან დაკავშირებით ძალიანს სერიოზულად მუშაობს ალიანსის ხელმძღვანელობა. მართალია, ელექტრონული საშუალებები, რომლებიც ფაქტობრივად ხელისუფლების მხრიდან იმართებიან, ასეთ შეხვედრებს სხვა იარლიყს აწებებენ და ცდილობენ, რომ ეს გამოიყვანონ როგორც ალიანსის მხრიდან დისტანცირება არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და მცდელობა, რომ საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერა მოიპოვოს. რა თქმა უნდა, ეს ემსახურება ერთადერთ მიზანს, რომ ოპოზიცია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს საპარლამენტო იქნება თუ არასაპარლამენტო, იყოს ერთიანი თავის სტრატეგიაში და ჩვენ ხელი არ შევუშალოთ ერთმანეთს იმ მნიშვნელოვან მიღწევაში, რასაც ჰქვია თბილისის არჩევნებში ხელისუფლების დამარცხება.

*— თბილისის ოლქებად დაყოფა არის თუ არა არჩევნების გაყალბებისთვის და ამომრჩევლებზე ზემოქმედებისთვის გადადგმული ნაბიჯი?*

— ამას ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობას ვერ დავარქმევთ. ეს არის ადმინისტრირების და ზეწოლის განხორციელების ბერკეტი. ბუნებრივია, ადამიანი, რომელიც 1600 ლარიან ხელფასს მიიღებს, ის თავის მცდელობას არ დააკლებს, რომ თავიდან ბოლომდე აკონტროლებდეს ამ უბანს. გეთანხმებით, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან არის საარჩევნოდ გადადგმული ნაბიჯი და ემსახურება თავიდან ბოლომდე იმას, რომ დაიმორჩილოს უბნები და სრული კონტროლი დააწესოს ამაზე. მაგრამ მე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ: ყველაფერ ამას ჩვენ უნდა დავუხვედროთ ჩვენი ანალოგიური გადაწყვეტილებები, რომლებიც მეტ-ნაკლებად გაანეიტრალებს ხელისუფლების ასეთ მცდელობას. რა თქმა უნდა, ეს არ არის საბოლოო ვერდიქტი და საბოლოო გადაწყვეტილება. ენდეაის მიერ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფში ჩვენ სწორედ იმიტომ შევედით, რომ ოპოზიციამ მოახერხოს საკუთარი წინადადებების გატანა. ჯერჯერობით იმის



თქმა, რომ რაიმე გადაწყვეტილება კონკრეტულად მიღებულია, არ შეიძლება. თუმცა მიმდინარეობს ძალიან სერიოზული მუშაობა. ჩვენ შედეგებს თქვენთან ერთად დაველოდებით. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე ფრონტზე, რა თქმა უნდა, ილუზიას არ შევიქმნით, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხში, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არჩევნებისთვის, ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ ხელისუფლება დავიყოლიოთ და ვაიძულოთ, რომ საარჩევნო კოდექსი სწორედ ასე შეცვალოს.

*— თუკი დაყოლიება არ მოხდა, თქვენი ალიანსი ადგილობრივ არჩევნებში არმონაწილეობის საკითხსაც განიხილავს?*

— ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება. საარჩევნო გარემო, პირველ რიგში, არის სწორედ საარჩევნო კოდექსი და შემდეგ უკვე მედია-საშუალებები. ორივე მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შემდეგ ჩვენ თუ პრაქტიკულად შედეგს ვერ მივიღებთ, რა თქმა უნდა, ეს საკითხიც დღის წესრიგში დადგება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ძალიან სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს და მე ვფიქრობ, რომ რაღაც შედეგები აუცილებლად იქნება.

*— ქალბატონო მანანა, ფაქტია, არჩევნებს დიდი ფული იგებს. ხელისუფლება ამ თანხებს უკვე ხარჯავს და სერიოზულ პიარსაც იკეთებს. რისი იმედი აქვს თქვენს ალიანსს იმ ფონზე, როცა ხელისუფლება ირწმუნება, რომ ოპოზიცია ქვეყნის ფარგლებს გარედან ფინანსდება, მათ შორის ძებნილი პიროვნებებისგანაც...*

— გეთანხმებით, ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. ფინანსები მნიშვნელოვნად წყვეტს არჩევნების ბედს. დღეს პრაქტიკულად ხელისუფლება უზარმაზარ ბიუჯეტს და პირველ რიგში, თბილისის ბიუჯეტს იყენებს წინასაარჩევნოდ. მთელი ეს კამპანია — „მე მიყვარს თბილისი" — არის გიგი უგულავას დაქვემდებარებაში. არის მეორე მნიშვნელოვანი თემაც დაფინანსებასთან დაკავშირებით. ჩვენ თუ მოვახერხებთ სერიოზულ ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბდეს ალიანსი იქნება თუ მისი სტრატეგიის მხარდამჭერი სხვა პოლიტიკური ძალები, რა თქმა უნდა, გაომჩნდებიან ბიზნესმენები — დამფინანსებლები, რომლებიც ირწმუნებენ, რომ შეიძლება სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხება. მთავარია, ასეთი ალტერნატივა, ასეთი საპირწონე ძალა გაჩნდეს, რომ დაფინანსებაც წამოვა სრულიად ლეგიტიმურად. ეს იქნება ლეგიტიმური და ოფიციალური დაფინანსება, ჩადებული თანხა იმაში, რომ ქვეყანაში რაიმე შეიცვა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# პიტერ სემნები ჟენევის მოლაპარაკებებს იმედით უყურებს

**„საქართველოში ომმა აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ერთმანეთზე გადაჯაჭვული არიან", — ამ სათაურით ინტერვიუს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან, პიტერ სემნებისთან რუსული გამოცემა „კომერსანტი" აქვეყნებს. „ახალი თაობა" აღნიშნულ მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

გერა მამულაშვილი

*— ჟენევაში კავკასიაში უსაფრთხოების საკითხებზე მოლაპარაკებათა უკვე მერვე რაუნდი გაიმართება, თუმცა არსებითი შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს. რატომ არის ჟენევის ფორმატი ასეთი მნიშვნელოვანი ევროკავშირისთვის?*

— არ გეთანხმებით, რომ ჟენევის პროცესზე შედეგები არ არის. არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე თავად ის ფაქტი, რომ შვიდჯერ ჩატარდა შეხვედრები საკმაოდ მაღალ დონეზე. ეს მოხდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. შედეგებიც არის: ინციდენტების აღკვეთისა და მათზე რეაგირების მექანიზმებია შექმნილი. აუცილებელი არ არის, რომ შედეგები თავიდანვე გამრღვევი ხასიათის იყოს, თანდათანობით გადადგმულ ნაბიჯებსაც ხომ მიზნამდე მივყავართ.

ის, რომ ჟენევის პროცესმა რეგულარული ფორუმის ხასიათი მიიღო, ეს ძალიან მნიშვნელოვნად გვეჩვენება. იმის წარმოდგენისაც კი მეშინია, რა მოხდებოდა, ასეთი ფორუმი რომ არ ყოფილიყო და ადგილზე დამკვირვებლების მისიას რომ არ ემოქმედა. მაშინ ნებისმიერი ინციდენტი ახალი ესკალაციის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო.

*— ეს არის პირველი მოლაპარაკება ჟენევაში, გასული წლის აგვისტოს ომის მიზეზებზე ჰაიდი ტალიავინის მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ. ეს მოხსენება რაღაცნაირად იმოქმედებს თუ არა ჟენევის მოლაპარაკებების ხასიათზე?*

— ტალიავინის მოხსენების მთავარი დამსახურება ის არის, რომ ის ამჟამად საშუალებას გვაძლევს, ვიყუროთ არა წარსულში, არამედ მომავლისკენ. ამ მოხსენებამ უფრო ნათელი წარმოდგენა მოგვცა იმაზე, თუ რა მოხდა რეალურად. ეს ჟენევაში მიმდინარე დისკუსიებსა და მოლაპარაკებებს უფრო მარტივს ხდის, რადგანაც ზოგიერთი საკითხი, რომელიც დღემდე მოლაპარაკებებს ართულებდა, დღის წესრიგიდან იხსნება. გარდა ამისა, ეს მოხსენება მნიშვნელოვანია იმით, რომ გაკვეთილს გვაძლევს მომავლისთვის, თუ როგორ უნდა ავიცილოთ მსგავსი სიტუაციები.

*— ტალიავინის კომისიის მოხსენებას ყველა წერტილი უნდა დაესვა კითხვაზე იმის შესახებ, ვინ დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთში. მოხსენებაში ჩაწერილია, რომ ომი საქართველომ დაიწყო, თუმცა თბილისში ყურადღებას ამახვილებენ მოხსენების იმ ნაწილზე, რომელიც ომამდე პერიოდს აშუქებს და ნათქვამია, რომ რუსეთი სიტუაციის დაძაბვას ხელს უწყობდა. თქვენ არ გაკვირვებთ ერთისა და იმავე მოხსენების ასეთი სხვადასხვანაირი წაკითხვა?*

— ეს გასაკვირი არ არის: ორი ქვეყანა ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდა და არცთუ ბევრი დროა გასული ამ ომიდან. მოხსენება ანალიზს უკეთებს შემდეგ პერიოდებს: ომამდელს, ომის დაწყებას, თავად ომს და ომის შემდგომ სიტუაციას. რა თქმა უნდა, მხარეები სხვადასხვაგვარად ეპყრობიან ამ პერიოდების შეფასებებს, მაგრამ დღეს საჭიროა, შექმნილ სიტუაციას მთლიანობაში შევხედოთ. არ არის საჭირო აქცენტირება იმაზე, თუ რა მოხდა 7 და 8 აგვისტოს (2008 წლის).



თუკი ომის დაწყებასა და მიზეზებს ანალიზს გავუკეთებთ, ეს ხანგრძლივი ისტორიაა. საუბარი შეეხება, ერთი მხრივ — საქართველოსა და უმცირესობებს, მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ურთიერთობებს. ომამდე ესკალაცია უკიდურეს შემთხვევაში ერთი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში ბევრი სახიფათო მომენტი იყო. საკმარისია გავიხსენოთ, როდესაც რუსული რაკეტა დაეცა საქართველოს — ამის შემდეგ რეგიონში დაძაბულობამ მატება დაიწყო.

*— როგორი იქნება ევროკავშირის მოხსენების შედეგები?*

— მე მოსალოდნელ შედეგებზე არ ვისაუბრებდი, რადგან მოხსენების მიზანი ვილაცის დასჯა არ ყოფილა. ევროკავშირის კომისიის გამოძიება — ეს მნიშვნელოვანი წვლილია სიტუაციის გაგებისთვის, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, კონფლიქტის შედეგების გადალახვაზე კონცენტრაცია მოვახდინოთ. ეს არის ასევე გაკვეთილები, რომლებიც მხარეებმა ამ სიტუაციიდან გამოიტანეს.

*— და როგორია ეს გაკვეთილები, მაგალითად, ევროკავშირისთვის? თქვენ შეგეძლოთ ამ ომის აღკვეთა?*

— დიახ, ევროკავშირი არსებულ რისკებს სათანადოდ არ აფასებდა და ჩვენ, ალბათ, მეტის გაკეთება შეგვეძლო ამ კონფლიქტის აღსაკვეთად. ომამდე რეგიონში უფრო მნიშვნელოვანი დასწრება რომ გვქონოდა, შესაძლოა ამას თავისი როლი ეთამაშა.

*— ევროკავშირის დამკვირვებლები ამჟამად არიან მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც საქართველო აკონტროლებს. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ისინი კვლავაც არ არიან. ამცირებს თუ არა ეს ევროკავშირის შესაძლებლობებს, რომ სიტუაციაზე გავლენა მოახდინოს?*

— ამ ტერიტორიებზე ჩვენი დამკვირვებლების დასწრება სასურველი იქნებოდა. როგორც მხარეებს შორის ურთიერთობის არხი, ის ყველასთვის მომგებიანი იქნებოდა. ვიმედოვნებთ, რომ დღეს იმ მხარესაც დაიწყეს იმის გაგება, რომ ევროკავშირის მისია მასტაბილიზებელ როლს თამაშობს და ამას რეგიონში საკუთარი შესაძლებლობები არ ამოუწურავს.

*— ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი ომია მოსალოდნელი, რადგანაც მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული წინააღმდეგობები და დაპირისპირებები აღკვეთილი არ არის...*

— სწორედ ამიტომაც საქართველოში დამკვირვებლები იმყოფებიან და სწორედ ამიტომ ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანია ჟენევის პროცესი.

*— ბოლო დროს მოლაპარაკებათა პროცესი გააქტიურდა სომხეთსა და თურქეთს შორის. შესაძლებელია თუ არა მათ შორის სახელმწიფო საზღვრების გახსნა ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტამდე?*

— კარგია, რომ სომხურ-თურქული მოლაპარაკებების პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძრა. თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრების გახსნა შესაძლოა გახდეს პირველი ნაბიჯი არანორმალური სიტუაციის გადალახვისთვის, როდესაც რეგიონის სამი ყველაზე გრძელი საზღვარი დაკეტილია: სომხეთსა და თურქეთს შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანს, რუსეთსა და საქართველოს შორის. ეს რეგიონის ნორმალური განვითარებისთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. დღეს სომხურ-თურქული ურთიერთობები იმ წერტილს მიუახლოვდა, რომლის შემდეგაც შესაძლოა გარღვევა იყოს. რატიფიკაციის პროცესი, რა თქმა უნდა, რთული იქნება, მაგრამ ეს როგორც სომხეთის, ასევე თურქეთის ინტერესებშია და, დარწმუნებული ვარ, პერსპექტივაში ეს აზერბაიჯანის ინტერესებშიც არის, რადგანაც ოფიციალური ბაქოც დაინტერესებულია რეგიონის საზღვრების გახსნით. საქართველოში ომმა აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი არიან. არსებული პრობლემების მოხსნა მხოლოდ ამ ზემოთ ხსენებული საკითხების გადაწყვეტით არის შესაძლებელი. დარწმუნებული ვარ, სომხეთის ხელმძღვანელობაც ასე ფიქრობს და რომ ყარაბაღის ახლანდელი სტატუს-კვო სომხეთის ინტერესებში არ არის. ის გაურკვეველ მდგომარეობაში მარადიულად ვერ გაჩერდება. იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გამოვიდეს, საჭიროა უფრო მეტი ნდობის ხარისხი კავკასიაში, ხოლო ამას სჭირდება მესამე ქვეყნების აქტიურობა, ისეთების, როგორიცაა ევროკავშირი ან რუსეთი. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ერთად დიალოგის უზრუნველყოფას შევძლებთ.

*— მაგრამ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების შემდეგ შექმნილია პრეცედენტი, რომელიც ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტას ართულებს. ევროკავშირს როგორ სურს ამის დანახვა?*

— არ არის საჭირო ამ კონფლიქტებს შორის კავშირების გაზვიადება. რა თქმა უნდა, ჩვენთვის პრობლემატური და მიუღებელია, რომ რუსეთმა ეს ტერიტორიები აღიარა. მოგველის კიდევ უფრო რთული საუბრები, მათ შორის, რუსეთთან ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერთობლივი პრიორიტეტები სხვა მიმართულებებში. ამიტომ ჩვენმა განსხვავებულმა დამოკიდებულებებმა საქართველოს საკითხში ხელი არ უნდა შეგვიშალოს სხვა კონფლიქტების გადალახვისთვის მუშაობაში.

## მუხროვანის სამხედრო ამბოხებისთვის განსასჯელების სასამართლო პროცესი დღეს განახლდება

თბილისის საქალაქო სასამართლოში მუხროვანის სამხედრო ამბოხებაში ბრალდებულთა პროცესი ხვალ კვლავ სახელმწიფო ბრალდების მოწმეთა დაკითხვით განახლდება.იკითხებიან მუხროვანის ბატალიონის თანამშრომლები და რეინჯერები. როგორც ისინი ჩვენებებში აღნიშნავენ, მუხროვანის სატანკო ბატალიონის უფროსი შოთა გორგიაშვილი დაუმორჩილებლობას გეგმავდა. ის არ აპირებდა 26 მაისის სამხედრო აღლუმში მონაწილეობის მიღებას.

საქმეს თბილისის საქალაქო სასამრთლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანი იხილავს. განსასჯელი 28 სამოქალაქო და სამხედრო პირია. 13 ბრალდებულთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა.

მუხროვანის სამხედრო ბაზაზე ამბოხება 2009 წლის 5 მაისს მოხდა.

**ინტერპრესნიუსი**

## გურამ ჩახვაძე ვაშინგტონში ოფიციალურ შეხვედრებს მართავს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი გურამ ჩახვაძე ვაშინგტონში ოფიციალურ შეხვედრებს მართავს.

როგორც „პირველს" ედპ-ის პრეს-სამსახურიდან აცნობეს, გურამ ჩახვაძე დღეს შეხვედრებს კონგრესის საგარეო ურთიერთობების კომიტეტში გამართავს.

დაგეგმილია ასევე მისი შეხვედრები საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში - საქართველოს საკითხების სპეციალისტთან პრესტონ ლინდლერთან, ამერიკის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტში - საქართველოს პროგრამის ხელმძღვანელთან ედმუნდ როოუდსთან.

ბოლო შეხვედრას ჩახვაძე 14 ნოემბერს გამართავს, მეორე დღეს კი სამშობლოში გამოფრინდება.

შეგახსენებთ, რომ ქართველი ოპოზიციონერი დეპუტატი აშშ-ში 3 ნოემბერს გაემგზავრა.

**პირველი**

# საქართველოში უმწეოების რისხვი ყოველდღე მატულობს

## სოციალურ სფეროში კატასტროფული ვითარებაა

ნათია ხურცილავა

**„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" ლიდერმა მორიგი კონცეფცია წარმოადგინა. ამჯერად ნინო ბურჯანაძემ თავისი ხედვა გააცნო ექსპერტებს, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს სოციალურ პოლიტიკაზე.**

ბურჯანაძის მიერ სოციალური პოლიტიკის ხედვის პრეზენტაციას სალომე ზურაბიშვილი, ეკა ბესელია, ზურაბ ტყემალაძე, გუგული მაღრაძე ესწრებოდნენ.

დოკუმენტში წარმოდგენილია სტატისტიკური ანალიზი, სადაც განხილულია ქვეყანაში სიღარიბისა და დემოგრაფიული მაჩვენებლები, უმუშევრობის დონის დინამიკა, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ცვლილებების ტენდენცია.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში არ არსებობს სოციალური სფეროს მშენებლობისა და განვითარების მკაფიო და საზოგადოებასთან შეთანხმებული კონცეფცია.

მოძრაობის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საქართველოში სოციალური სფერო გახდა ბიზნეს-ინტერესების ასპარეზი, უკანა პლანზე გადაიწია სფეროს სოციალურმა ფუნქციამ.

— მიუღებელია აბსოლუტურად გაუმართლებელი საკანონმდებლო გადაწყვეტილებები, არსებული საპენსიო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მისი ძირითადი მიზნების განხორციელებას, სიღარიბის აღკვეთასა და ღირსეული სიბერის გარანტიებს. 2009 წლის მონაცემებით, საქართველოში 1700000-ზე მეტი უმწეო მოქალაქეა, რაც მთელი მოსახლეობის 40 პროცენტს შეადგენს. ასევე არასანდოა სოციალური დახმარების მეთოდოლოგია. დასაქმებისადმი მიდგომა კამპანიურია, პოპულისტური და მოჩვენებითი. შრომის კანონმდებლობა მორგებულია მხოლოდ დამსაქმებლის ინტერესებს. სოციალურად დაუცველნი არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. უკიდურესად დაბალია სახელმწიფო სახსრების მიზანმიმართულება და ხარჯეფექტიანობა ჯანდაცვის სფეროში. ბუნდოვანია ჯანდაცვის სახელმწიფო გარანტიები: გაუქმებულია ონკოლოგიის, კარდიოქირურგიის, ურგენტული სტაციონარული დახმარების, პირველადი ჯანდაცვის პროგრამები. შეკვეცილია ბავშვთა სამედიცინო მომსახურება და ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის მოცულობა. ჩავარდა 100 ახალი საავადმყოფოსა და იაფი დაზღვევის პროექტები, — ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობის" დოკუმენტში.



— ქვეყნის სოციალური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ხანგრძლივ ეფექტზე გათვლილ, საჯარო განხილვების გზით საზოგადოებასთან შეთანხმებულ ღონისძიებათა ერთობლიობას. შრომის კანონმდებლობაში უნდა შეიქმნას მაქსიმალური გარანტიები დასაქმებულთათვის. პარტიის ხედვით, ჯანდაცვის სისტემაში პრიორიტეტული იქნება პირველადი ჯანდაცვა, სამედიცინო დახმარება, — ამბობენ მოძრაობის წარმომადგენლები.

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ მის პარტიას ყველა კონცეპტუალურ საკითხზე აქვს თავისი ხედვა და აპირებს მის განსახილველად გამოტანას.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე აცხადებს, რომ მომავალში საქართველოში კოალიციური მთავრობა იქნება, ამიტომ მიზანშეწონილია, რომ პარტიებმა ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე ითანამშრომლონ და ერთმანეთის ხედვები გაითვალისწინონ.

**ნინო ბურჯანაძე:**

— ჯანდაცვის საკითხები, ნარკომანიის პრობლემები, წამლის ფასის რეგულირება — ეს არის საკითხები, რომლებიც თითოეულ ოჯახში შედის და რომელთა მოგვარებაზეც თითოეული ოჯახის კეთილდღეობაა დამოკიდებული. ამ საკითხების ანალიზის დროს, რა თქმა უნდა, ჩვენ გავითვალისწინეთ ის ცვლილებები, რომლებიც ამ პერიოდში განხორციელდა. განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებას არ ვაპირებთ ხელისუფლების მიღწევებზე. კონკრეტული ანალიზი გაკეთდა იმაზე, რაზეც ხელისუფლება ხშირად საუბრობს და რომელსაც წარმოაჩენს, როგორც მის განსაკუთრებულ მიღწევას. ჩვენ არც პოზიტივის აღნიშვნის გვეშინია და ვთვლით, რომ პოზიტივიც უნდა აღინიშნოს, მაგრამ აუცილებლად უნდა გაკეთდეს ანალიზი იმისა, შეიძლებოდა თუ არა უფრო მეტის მიღწევა. ძალიან კარგად გვესმის ხალხის მოთხოვნა, რომ ადამიანებს აინტერესებთ არა მხოლოდ ხელისუფლების შეცვლა, არამედ ისიც, თუ ვისით, რით შეიცვლება ეს ხელისუფლება და რა არჩევანი უნდა გააკეთოს საზოგადოებამ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში არა მარტო ლიდერის პატივისცემის გამო უნდა აირჩიონ ესა თუ ის პარტია, არამედ — კონცეპტუალური ხედვის გამო. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ არა მხოლოდ ექსპერტებთან, არამედ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან. ბუნებრივია, თითოეული მათგანის მოსაზრება მნიშვნელოვანი იქნება, რადგან, არა მგონია, საქართველოში უახლოეს ხანებში ჩამოყალიბდეს რეალობა, როდესაც მხოლოდ ერთი პარტიის გადასაწყვეტი იქნება, როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი იქნება პარტიების კოალიციური თანამშრომლობა, ერთობლივი თანამშრომლობა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, ესა თუ ის პარტია იქნება თუ არა გამარჯვებული. ერთმანეთის გამოცდილება უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეჯერებული ხედვით შევხვდეთ შემდგომ გამოწვევებს. სერიოზულად ვაპირებთ ვითანამშრომლოთ არასამთავრობო სექტორთან.



**სალომე ზურაბიშვილი, „საქართველოს გზის" ლიდერი:**

— ამ ქვეყანაში ყველასთვის ნათელია, რომ სოციალური საკითხი ხდება ყოველდღიურად უფრო და უფრო პრიორიტეტული, რადგან კატასტროფის წინაშე ვდგავართ ყველა კუთხით. ამას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან ნათლად ვხედავთ. ეს კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა რეგიონებში.

***— რას იტყვით შემოთავაზებულ თანამშრომლობაზე?***

— ეს არის სხვა პერიოდის თანამშრომლობა. სოციალურ საკითხებზე რომ ითანამშრომლო რომელიმე პარტიასთან, ხელისუფლებაში უნდა იყო. ჩვენ დღეს ოპოზიციიდან ვერაფერს ვაკეთებთ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ოპოზიციაში ვართ, არამედ იმიტომ, რომ 2001 წელს, როდესაც ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა, არც ერთ ოპოზიციურ პარტიას არ მიეცა საშუალება, რომელიმე რეგიონის მმართველობაში მიეღო მონაწილეობა. ამდენად, ჩვენ არსად გვაქვს ბერკეტები, რომ ვმართოთ და ვაჩვენოთ, რის გამკეთებლები ვართ ან ვიქნებით. იმაზე საუბარი, რომ ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკებთ და საქმეს ვერ ვაკეთებთ, ბუნებრივად ხდება. იმედი მაქვს, ადგილობრივი არჩევნები გახდება ბრძოლის მთავარი საშუალება, ადგილობრივ თუ სხვა არჩევნებზე ეს ხელისუფლება წავა და ამას მივაღწევთ. მერე, ალბათ, პარტიები თანამშრომლობის გზით მივაღწევთ ამ მდგომარეობიდან გასვლას.

## როგორ აღწევდა თბილისამდე უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე?

რადიო „კომერსანტისათვის" ცნობილი ხდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციაში არსებული კორუფციული სქემის დეტალები.

ეჭვი იმის თობაზე, რომ ხე-ტყის უკანონო ბიზნესში გარემოს დაცვის სამინისტროს რეგიონული ბიუროების თანამშრომლები იყვნენ ჩართულები, პირველად ამავე უწყების თბილისის სწრაფი რეაგირების სამსახურს გაუჩნდა. რადიო " კომერსანტის" ინფორმაციით, გარემოს დაცვის ინსპექციის თბილისის სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში პატრულირებდნენ როგორც თბილისის შემოსასვლელებთან, ისე ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, რადგან რეგიონებიდან თბილისის მიმართულებით ყოველდღე ასობით კუბური მეტრი უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირება ხდებოდა.

თავის მხრივ, რეგიონულ ბიუროს 24 საათიანი პატრულირება საქართველოს მასშტაბით ევალებოდა, თუმცა, უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყით დატვირთული სატვირთოები თბილისამდე მაინც ჩამოდიოდა. რა რაოდენობის მატერიალური ზარალი მიიღო სახელმწიფომ ხე-ტყის უკანონოდ ჭრის შედეგად - ამ კითხვაზე პასუხის მიღებას გამოძიება ცდილობს.

გარემოს დაცვის ინსპექციაში არსებული კორუფციული სქემის დეტალები რადიო „კომერსანტთან" საუბარში გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე დავით იოსელიანმა განმარტა. მისი თქმით, გარემოს დაცვის ინსპექციას ქვეყნის მასშტაბით ქვედანაყოფები ჰყავს, რომლებსაც ადგილზე ხე-ტყის ჭრის გაკონტროლება ევალებათ და მათი კეთილსინდისიერების შემთხვევაში უკანონო ჭრა არ უნდა ხდებოდეს. დავით იოსელიანის განცხადებით, ხე-ტყის ჭრაზე გაიცემა სპეციალური ბილეთი და გარემოს დაცვის ინსპექციამ უნდა აკონტროლოს, რომ ერთხელ გაცემული ბილეთით ხე-ტყის ჭრა რამდენიმეჯერ არ მოხდეს. მისივე თქმით, გარემოს დაცვის ინსპექციამ უნდა აკონტროლოს, რამდენად კანონიერიერადაა დამზადებული ის ხე-ტყე, რომელიც თბილისში ელიავას ბაზრობაზე იყიდება.

შეგახსენებთ, გასულ კვირას სამართალდამცავებმა გარემოს დაცვის ინსპექციის მაღალჩინოსნები დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებული პირები ხე-ტყის უკანონო ჭრაზე რეაგირებას არ ახდენდნენ და ქრთამს იღებდნენ.

რადიო „კომერსანტის" ინფორმაციით, გამოძიების მიერ დაკავებული ერთ-ერთი პირი გარემოს დაცვის ამჟამინდელმა მინისტრმა სამსახურში დააბრუნა.

**მედიანიუსი**

## გია ჭანტურია ქართულ ბიზნესში დაბრუნებას უარყოფს



ედუარდ შევარდნაძის გუნდის ყოფილი წევრი გია ჭანტურია საქართველოში ბიზნეს-საქმიანობის განახლების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს. როგორც ჭანტურიამ რადიო „კომერსანტთან" საუბარში განაცხადა, საქართველოში ბიზნეს საქმიანობას არ აპირებს და ამ მიზნით არც ეკონომიკის მინისტრს შეხვედრია.

შეგახსენებთ: რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნავთობკორპორაციის ყოფილი ხელმძღვანელი საქართველოში კონკრეტული ბიზნეს-პროექტების განხორციელებას გეგმავდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით რამდენიმე კვირის წინ ჭანტურია მთავრობის წევრებსაც შეხვდა. ამასთან, გასულ კვირას ჩვენთან საუბარში გია ჭანტურიას თანამშემწემ განაცხადა, რომ ჭანტურია საქართველოში დაბრუნების შემდეგ საკუთარი ბიზნეს-გეგმების შესახებ თავად გააკეთებდა განცხადებას

**მედიანიუსი**

## საარჩევნოდ ფულს მაინც ვიშოვით!

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ლოს, რისი უფლებაც, ვფიქრობ, ყველა ბიზნესმენს აქვს.

***— ასეთი სახელისუფლო წნეხის პირობებში ბიზნესმენები ოპოზიციის დაფინანსებას გარისკავენ?***

— გეთანხმებით, რომ ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა, თუმცა ჩვენ არ დაგვიმალავს და ვამბობდით, რომ დიახაც, ვეცდებით სხვა გზებით და საშუალებებით მივიღოთ ეს ფული, ვინაიდან მათი გამოაშკარავების შემთხვევაში ასეთი საშიშროება ემუქრებათ.

***— რადგან მედია-საშუალებები ახსენეთ, პერიოდულად კეთდება განცხადებები, რომ კავკასიური არხი, რომელიც საქართველოში იქმნება, სავარაუდოდ, ბორის ბერეზოვსკის მიერ დაფინანსდება და ანტირუსულ კამპანიას მოემსახურება. რა ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით და რამდენად საფრთხისშემცველი იქნება მსგავსი არხის საქართველოში გახსნა?***

— ეს ინფორმაცია, რომ ბერეზოვსკის თანხა იქნება ჩადებული ამ არხში, მე პრესიდან გავიგე. სხვა დამატებითი ინფორმაცია არ გამაჩნია. რაც შეეხება თვითონ ამ საერთო კავკასიური არხის შექმნას, თავისთავად იდეა არის არაჩვეულებრივი და შესანიშნავი იმისათვის, რომ კავკასიელი ხალხები დავუახლოვდეთ ერთმანეთს. საქართველო თავიდანვე იყო ასეთი პოლიტიკის ცენტრი ამიერკავკასიაში. კარგად გახსოვთ, რომ საქართველოში უძლიერესი კავკასიოლოგიური სკოლა არსებობდა. ამას წინათ ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა ქალბატონმა მკითხა, როგორ ეგუებით იმას, რომ თქვენ დათმეთ ლიდერის პოზიცია საქართველოში. ეს, რა თქმა უნდა, აღვადგინოთ. თუ ეს არხი მოემსახურება სხვა ინტერესებს, რა თქმა უნდა, ეს სახიფათო იქნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ზოგადად ამ რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობისთვის. ამიტომ მე, სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც ამ ხელისუფლების პირობებში ასეთ არხს ცოტა სახიფათოდაც მივიჩნევ. ხაზს ვუსვამ, ამ ხელისუფლების პირობებში. თავისთავად ასეთი არხის არსებობაზე, არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია.

***— ადგილობრივ არჩევნებს დავუბრუნდეთ. გამოიკვეთა, რომ ოპოზიციიდან ვერ ხერხდება ერთი კანდიდატურის დაყენება მერის პოსტზე. მოხდება თუ არა ამ შემთხვევაში ოპოზიციის ხმების დაკარგვა?***

— ჩვენი სტრატეგია და ჩვენი პოლიტიკა თავიდანვე გაცხადდა: ჩვენ ვერთვებით არჩევნებში; ჩვენ სხვა გზას ვერ ვხედავთ, რომ მიხეილ სააკაშვილი დავამარცხოთ, მოდით, თავს ნუ მოვიტყუებთ. ქუჩის აქციები, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ბრძოლის ძალიან სერიოზული შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ქუჩის აქციებით ჩვენ ვერ მოვახერხებთ სააკაშვილის რეჟიმის შეცვლას. ამიტომ დავადექით ამ გზას და ეს სტრატეგია ავირჩიეთ. დავასახელეთ ჩვენი ტანდემი — ირაკლი ალასანია და სოზარ სუბარი. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც არჩევნებში მონაწილეობას გადაწყვეტს და რომელიც გვეთანხმება იმაში, რომ თბილისის მოგებით და არჩევნებში თბილისის წართმევით შეიძლება სერიოზულად დავასუსტოთ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება და საბოლოოდ ჩამოვაშოროთ იგი ძალაუფლებას, ამ პოლიტიკურმა ძალებმაც უნდა დაასახელონ თავიანთი ტანდემები და თავიანთი კანდიდატურები, თუ ისინი ამ სტრატეგიას ემხრობიან. პოლიტიკური ძალები, რომლებიც თვლიან, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, ცხადია, ბოლომდე თავიანთი პოზიციის ერთგულნი უნდა დარჩნენ და ეს გადაწყვეტილება ბოლომდე უნდა მიიყვანონ. რაც შეეხება სხვადასხვა კანდიდატებს, იმ პოლიტიკური ძალების მხრიდან, რომლებიც გადაწყვეტენ არჩევნებში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, ამ კანდიდატთა შორის ერთის გამოვლენის საუკეთესო საშუალება არის კარგად, მაღალ დონეზე ჩატარებული პრაიმერი ანუ შეჯიბრი ამ კანდიდატებს შორის. მაგრამ ჩვენ, ოპოზიცია თამაშის წესებზე უნდა შევთანხმდეთ და უნდა ვთქვათ, რომ ვინც არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, ბოლომდე მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, ვინც აპირებს — იმათ უნდა ავიჩიოთ ერთი საერთო კანდიდატი. სწორედ ამ მიმართულებით ცდილობს ალიანსი დღესვე ყველაფერი დაალაგოს ოპოზიციურ სპექტრში. მე ვფიქრობ, ეს არის ერთადერთი სწორი გზა.

***— ანუ პრაიმერის ჩატარება აუცილებელია?***

— რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვამბობთ, რომ ჩვენი ტანდემი და ჩვენი კანდიდატურები არის უალტერნატივო. თუმცა გვაქვს პრეტენზია, რომ საკმაოდ სერიოზული რეიტინგი აქვთ სუბარს და ალასანიას. „აირაის" კვლევებმაც აჩვენა, რომ დღეს ირაკლი ალასანია ფაქტობრივად უალტერნატივოა, მაგრამ შესაძლოა ვიღაცას ამის არ სჯერა, ამიტომ, კი ბატონო, შევეჯიბროთ ერთმანეთს.

***— ალიანსის ლიდერები მერის არჩევნებში ბარიერის — 50% პლუს ერთის მომხრეები არიან, ხელისუფლება კი ამაზე უარს აცხადებს. აუცილებელია ბარიერის არსებობა?***

— ბაერიერი აუცილებელია. იმიტომ, რომ ეს არის ხელისუფლების მხრიდან ჩადებული სწორედ ის ნაღმი, რომელიც პრაქტიკულად შანსს უკარგავს, რომ გაიყვანოს თავისი კანდიდატი. საერთაშორისო ორგანიზაციებს მხარდაჭერა სწორედ ამ საკითხში ვთხოვეთ. იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთ პრინციპულ და მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია. იცით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ასეთი ბარიერი არსებობს. მაშინ რომ რამდენიმე კანდიდატი იყო, ეს იმას ემსახურებოდა, რომ წაგვერთმია მიხეილ სააკაშვილისთვის ხმები და შანსი იმისა, რომ პირველივე ტურში გასულიყო. რომ არა გაყალბება, პრაქტიკულად ეს ასეც იყო მომხდარი. ანალოგიურად უნდა იყოს თბილისის მერის არჩევნებზეც. მით უმეტეს, პირდაპირი წესით არჩეული მერის შემთხვევაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაფერი აზრს კარგავს.

# ხელისუფლებას სამამულო წარმოების განვითარების სურვილი არ აქვს



„მედიანიუსის“ ფოტო

თამბაქოს ადგილობრივ და იმპორტულ ნაწარმზე აქციზური გადასახადის გათანაბრების აუცილებლობა ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილის მიერ ახსნილი იქნა,

როგორც აუცილებლობა,რათა საქართველო არ გაერიცხათ მსო-დან. ექსპერტების ნაწილი კი ადგილობრივი წარმოების სასარგებლოდ პრობლემის გადაჭრაში ხელისუფლების უმოქმედობას ასახელებს.

რეალურია თუ არა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან გარიცხვის საფრთხე და რა არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო "მედიანიუსი" ეკონომიკის საკითხებში ექსპერტს და „ეროვნული ფორუმის“ წარმომადგენელს **ნიკო ორველაშვილს** ესაუბრა.

— ვითარების მთელი სირთულე და ბუნდოვანება იმაშია, რომ ამ ხელისუფლების პირობებში, სარწმუნო ინფორმაცია ნაკლებად მოსალოდნელია. როცა გვეუბნებიან, რომ „ბრითიშ ამერიქან თობაქომ“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გვიჩივლა, ამასაც კი შეიძლება ეჭვით შევხედოთ. მე ერთი რამ დავინახე: ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს სურვილი, რომ სამამულო წარმოების განვითარებაზე, ადგილობრივი ბიზნესის გაძლიერებასა და განვითარებაზე იზრუნოს. მართალი გითხრათ, არ მინახავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციიდან რა სახის პრეტენზია მოვიდა და საერთოდ მოვიდა კი? ეჭვს მიჩენს ხელისუფლების უმოქმედობა. ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებაა, ჰქონდეს დიფერენცირებული გადასახადი. არსებობს გადასახადების ორი ტიპი: მოჭრილი და ღირებულების. ძალიან მარტივად შეეძლოთ აქედან გამოძრომა, თუ კი, აქციზის გადასახადს კოლოფის მიხედვით კი არ დააწესებდნენ, არამედ ღირებულების მიხედვით. სად იმპორტირებული სიგარეტის ერთი კოლოფის ფასი და სად ადგილობრივის? როცა „პრიმის“ გამყიდველსაც და იმპორტირებული ძვირადღირებული მარკის სიგარეტსაც ერთი და იგივე გადასახადს უწესებ, ეს, ცხადია, უსამართლობაა.

***— ამ სიტუაციიდან გამოსავალი თუ არსებობს?***

— ცხადია, არსებობს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან შეპასუხება შეიძლებოდა. კანონმდებლობა ქვეყნის ექსკლუზიური უფლებაა და უბრალოდ, ვეტყოდით, რომ გადავდივართ პროცენტულ დაბეგვრაზე.ეკონომიკაში გვაქვს უნივერსალური კრიტერიუმები — ფასები. ფასთან მიმართებაში, თუ ერთიან განაკვეთს გამოვიყენებთ, მაშინ იმპორტული უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე სამამულო. ამ სისტემის გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას ვერავინ აიძულებს, გინდა თუ არა ერთნაირი გადასახადი შემოიღეო. მაგრამ ეს თავში აზრად არავის მოსდის. პრობლემის ხელოვნურობა აქედანაც ჩანს. ასევე არასარწმუნოდ მიმაჩნია ის განცხადება, რომ „ბრითიშ ამერიქან თობაქომ“ საქართველოს უჩივლა. აქ რაღაც სხვა მოხდა

***— რას გულისხმობთ? პრობლემის ხელოვნურად შექმნა და ადგილობრივი წარმოების ჩაძირვა ხელისუფლებას რაში უნდა დასჭირვებოდა? იმის გარდა, რომ ბიუჯეტში მსხვილი გადამხდელი ბიზნესი შეიძლება ჩაიძიროს, უამრავი სამუშაო ადგილის გაუქმებაა მოსალოდნელი. რა ინტერესი ამოძრავებთ, შეგიძლიათ ახსნათ? რას იგებს ამით ხელისუფლება?***

— ჩვენი ხელისუფლება ამით არაფერს იგებს. უფრო ის ვერსია იკვეთება, რომ იმპორტიორებს უქმნიან კიდევ უფრო უკეთეს პირობებს. იმპორტის ხელშეწყობით იყო დაკავებული შევარდნაძის ხელისუფლებაც. რისთვის? იმისთვის, რომ გაცილებით ადვილია იმპორტიორებთან კორუფციულ გარიგებაში შესვლა. აი, თუნდაც ამ საკანონმდებლო ცვლილების სანაცვლოდ, მავანთ იმპორტიორებისგან კერძო წილის მოთხოვნა უფრო ადვილად შეუძლიათ.

***— როგორც ცნობილია „ბრითიშ ამერიქან თობაქოს“ ნაწარმის დისტრიბუციას საქართველოში ქართული კომპანიები ახორციელებენ. აქ ხომ არ ჩანს, გარკვეული ბიზნეს ჯგუფების ლობირება?***

— მე კონკრეტიკა არ მაქვს. მაგრამ გარკვეული ბიზნესჯგუფების ლობირება ჩვენი ხელისუფლების საყვარელი საქმიანობაა და არა მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების, მათი წინამორბედებიც ასე იქცეოდნენ.

**მედიანიუსი**

# საწვავზე ფასმა 5–10 თეთრით მოიმატა

**მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სანავთობე ბაზარზე ზაფხულის ბოლოდან საწვავზე ფასების ზრდა აქტიურად მიმდინარეობდა, საქართველოს სანავთობე ბაზარზე ეს პროცესი მხოლოდ ბოლო პერიოდში დაფიქსირდა. რა არის ამის მიზეზი, უნდა ველოდოთ თუ არა კიდევ უფრო მეტად ფასების მატებას, ამასთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარეს, ვანო მთვრალაშვილს ესაუბრა.**

შორენა გონგლაძე



***— ბატონო ვანო, ბოლო პერიოდში დაფიქსირდა საწვავზე ფასის ზრდა, რამ გამოიწვია ეს და გაგრძელდება თუ არა ეს პროცესი?***

— საქართველოში საწვავის მატება დაფიქსირდა აგვისტოში, შემდგომ ოქტომბრის ბოლომდე საქართველოს ბაზარზე საწვავის ფასის აქტიური მატება არ მომხდარა. რაც შეეხება შემდგომ ფასების მატებას, ეს განხორციელდა ოქტომბრის ბოლოს და ნოემბრის დასაწყისში. საწვავზე ფასმა საშუალოდ მოიმატა 5-10 თეთრით. ამის მიზეზებია ის, რომ მსოფლიო სანავთობე ბაზარზე აგვისტოს შუა რიცხვებიდან ნავთობის ფასმა გარკვეული სტაბილურობა შეინარჩუნა. ერთი ტონა ბენზინის ფასი იყო დაახლოებით 600-630 დოლარის ფარგლებში, რაც შეეხება დიზელის საწვავის ფასს, ეს იყო 520-530 დოლარის ფარგლებში, შესაბამისად, ამ სტაბილურობამ განაპირობა ისიც, რომ ჩვენთან ბაზარზე ფასები გარკვეულწილად სტაბილური იყო, თუმცა შემდგომში უკვე დაიწყო ნავთობზე ფასების მატება. ამის პარალელურად საერთაშორისო ფასები ბენზინსა და დიზელზე მატულობს და ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორივე კატეგორიის საწვავის ფასი საშუალოდ გაზრდილი არის ასი დოლარით. ასევე მომატებულია ნავთობის ფასი, დღეისათვის ის არის 80 დოლარის ფარგლებში. ასი დოლარი არ არის, რა თქმა უნდა, დაბალი ნიშნული, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არ არის დამატებული არც აქციზის და არც დღგ-ს და სხვადასხვა დანამატები, ეს არის უბრალოდ მყარი ფიქსირებული საერთაშორისო ფასი, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ასი დოლარი ეს არის მნიშვნელოვანი მატება. ამ პროცესმა თავისთავად განაპირობა ის, რომ ჩვენთანაც მოიმატებდა ფასები, თუმცა ფასების მატება არ დაწყებულა მყისიერად, მხოლოდ თვის ბოლოს მოახდინეს კომპანიებმა ფასების მატება. აქვე ისმის კითხვა, რომ კომპანიები ერთდროულად ახდენენ ფასების მატებას და თითქოს ეს არის შეთანხმება, მაგრამ ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ როდესაც საერთაშორისო ფასზე ვსაუბრობთ, ეს ფასი ყველა კომპანიისთვის არის ერთი და იგივე; ანუ ყველა კომპანია ერთი ფასის ფარგლებში ახორციელებს შესყიდვას, შესაბამისად, ფასების მატება ყველა კომპანიას მეტ-ნაკლებად ეხება. ფასების მატება, რა თქმა უნდა, ბევრ უარყოფით ფაქტორს უკავშირდება, თუნდაც ის, რომ მომხმარებელი ამით არის უკმაყოფილო, იგივე საზოგადოების განწყობა ამათან დაკავშირებით, ამიტომ ეს ყოველთვის არის არაპოპულარული ნაბიჯი, თუმცა კომპანიებისთვის ეს არის იძულებით გადადგმული ნაბიჯი.

***— ზამთრის პერიოდში ხომ არ არის მოსალოდნელი ფასების კიდევ უფრო მეტი მატება?***

— რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, როდესაც ფასები იმატებს, ამასთან დაკავშირებით ჩვენ ყოველთვის ვაკეთებთ გარკვეულ განმარტებებს, რადგანაც ფასების მატება დაკავშირებულია გარკვეულ მომენტებთან. ფასების მატება არ ხდება იმისთვის, რომ ვთქვათ, იზრდება მოხმარება, ფასის მატება ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ მსოფლიოში ფასები მატულობს და, შესაბამისად, კომპანიები იძულებული ხდებიან, რომ ფასები მოუმატონ. რაც შეეხება, რა მოხდება უახლოეს პერიოდში, უნდა შევეხოთ საერთაშორისო ვითარებას. წინა წლებში, როდესაც ფასები მატულობდა, ძირითადად ამის განმსაზღვრელი იყო გეოპოლიტიკური არასტაბილური ვითარებები, იგივე ხშირად იყო სპეკულაციური ფაქტორები და ა.შ. რაც შეეხება დღევანდელ დღეს ნავთობზე ფასების მატებას, ფასები მნიშვნელოვნად არის მომატებული, ვინაიდან ერთი ბარელი ნავთობის ფასი არის 80 დოლარის ფარგლებში, როდესაც მიმდინარე წლის დასაწყისში ის იყო 35-40 დოლარის ფარგლებში. ამის ერთ ერთი მთავარი ფაქტორი გახლავთ ის, რომ მსოფლიოში ეკონომიკური ვითარება ნელ-ნელა სტაბილური ხდება, ანუ არის ოპტიმისტური განცდა იმისა, რომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევა მოხდეს უახლოეს პერიოდში და დაიწყოს ეკონომიკური ზრდის დაფიქსირება. თავისთავად ეს პროცესები გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მსოფლიოში მოხმარება გაიზრდება. ეს ფონი არის სწორედ ის, რომ მსოფლიოში ნავთობის ფასი იზრდება, ფასის ზრდა კი მსოფლიოსთვის არის ინდიკატორი, რომ ეკონომიკის გაჯანსაღება იწყება. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვისაც დადებითი მომენტი იქნება. ამ პერიოდისთვის საერთაშორისო ფასები სტაბილურია და ამიტომ უახლოეს პერიოდში, ამ სტატისტიკური მაჩვენებლიდან გამომდინარე, ფასების მატება საქართველოს ბაზარზე მოსალოდნელი არ არის.

***— საქართველოში თუ დაფიქსირდა საწვავის მოხმარების ზრდა?***

— მიმდინარე წლის დასაწყისიდან იანვარ-ოქტომბრის თვეებში საქართველოში იმპორტირებული იქნა 628 ათასი ტონა ბენზინისა და დიზელის საწვავი. მათ შორის ბენზინი — 382 ათასი ტონა, დიზელის საწვავი კი — 300 ათასი ტონა. 2008 წლის ანალოგიური პერიოდის განმავლობაში, იმპორტირებული იქნა 607 ათასი ტონა ბენზინისა და დიზელის საწვავი, მათ შორის ბენზინი — 325 ათასი ტონა, დიზელის სწვავი — 282 ათასი ტონა. 2008 და 2009 წლების ანალოგიური პერიოდების შედარებით ვღებულობთ, რომ მიმდინარე წელს ბენზინის იმპორტი გაზრდილია 57 ათასი ტონით, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტი — 18 ათასი ტონით; ჯამში 2009 წლის იანვარ-აგვისტოს თვეებში, ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტი გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 75 ათასი ტონით, ანუ 12,5 პროცენტით. საქართველოში საწვავის იმპორტის ზრდა ცალსახად მიუთითებს იმას, რომ იზრდება მოხმარება, იმის მიუხედავად, რომ ბოლო თვეების განმავლობაში საწვავის ფასი პერმანენტულად მატულობს. ეს კი მნიშვნელოვანი მომენტია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ზოგადად საწვავის მოხმარება თავის პიკს ზაფხულის პერიოდში აღწევს, შვებულებების სეზონის პერიოდში, როდესაც სატრანსპორტო მოძრაობა განსაკუთრებით აქტიურია მთელი ქვეყნის მასშტაბით, შესაბამისად, ამ პერიოდში აქტიურია ეკონომიკური საქმიანობაც. თუმცა მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში საწვავის იმპორტი კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, საწვავის მოხმარების ზრდა მნიშვნელოვანია როგორც საბიუჯეტო შენატანების, ასევე კომპანიების საქმიანობის მხრივაც და ზოგადად საქართველოს ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებისათვის.

# ევროპელებო, რუსეთთან ფრთხილად იყავით!

## იულონ გაგოშიძე დასავლეთს აფრთხილებს

გერა მამულაშვილი



სოფელ ტირძნისიდან გატაცებული ქართველი მოსწავლეები კვლავ რუსი ოკუპანტების ტყვეობაში რჩებიან. ქართული მხარის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, კარს მომდგარი მტერი შუა ქართლში „ბერლინის კედელს“ აშენებს და საკუთარი ეზოებიდან ბავშვებს იტაცებს. ამ საკითხში ოფიციალურ თბილისს, პირველ რიგში, საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების აქტიური ჩარევისა და თანადგომის იმედი აქვს.

ქართველი მოზარდების დაპატიმრებასთან დაკავშირებით აღშფოთებას გამოხატავს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძე. „ახალ თაობასთან“ საუბრისას მინისტრი აცხადებს, რომ ბრძოლა უნდა დასრულდეს მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელი „სალდათი“ დატოვებს საქართველოს ტერიტორიას. მისივე თქმით, მსოფლიო თანამეგობრობამ გათავხედებულ რუსულ იმპერიალიზმს ლაგამი დღესვე უნდა ამოსდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალ რუსული ჯარი მათ ქვეყნებში აღმოჩნდება.

— საქართველოში გრძელდება რუსული ოკუპაცია, ამ ბოლო ხანს კი რუსეთის ხელისუფლებამ ახალი აგრესიისთვის საზოგადოებრივი აზრის მზადება დაიწყო: გაძლიერდა ანტიქართული პროპაგანდა და, ამასთან ერთად, გახშირდა რუსი ოკუპანტებისა და მათი მფარველობის ქვეშ მყოფი სეპარატისტების განსაკუთრებული ცინიზმით გამორჩეული, თავხედური ქმედებებიც, მიმართული ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ როგორც ოკუპირებულ რეგიონებში, ისე მათ მოსაზღვრე სოფლებში. ოსებმა ოთხი მოზარდი გაიტაცეს გორის რაიონის სოფელ ტირძნისიდან და ცხინვალში გადაიყვანეს ტერორიზმისა და ქურდობის ბრალდებით გასასამართლებლად.

სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, ამ ძალადობას ჩვენი მხრიდანაც საპასუხო ძალადობა რომ მოჰყოლოდა. მაგრამ სწორედ ეს სურთ ოკუპანტებს და ეს არის სწორედ მათი პროვოკაციების ჭეშმარიტი მიზეზი. ამიტომ მოუწოდა პრეზიდენტმა მოსახლეობას მაქსიმალური თავშეკავებისკენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ბრძოლა ქვეყნის გამთლიანებისთვის. ბრძოლა დასრულდება მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელი რუსი „სალდათი“ დატოვებს საქართველოს. და ეს ძალიან მალე უნდა მოხდეს.

20 წლის წინ, 1989 წლის ნოემბერში, ბერლინის კედელი დაინგრა, მაგრამ დღეს, როცა ეს იუბილე საყოველთაო ზეიმით აღინიშნება, რუსები ახალ ბერლინის კედელს აშენებენ საქართველოში. ეს ევროპისა და საერთოდ კაცობრიობის სირცხვილია. დღეს სახელმწიფოთა მეთაურები ისე იქცევიან, თითქოს დავიწყებოდეთ, რომ რუსეთს არ შეუსრულებია 2008 წლის 12 აგვისტოს პრეზიდენტ სარკოზის შუამავლობით ხელმოწერილი შეთანხმების არც ერთი პუნქტი და პუტინს ისე ხვდებიან, თითქოს პირადად პუტინი არ მეთაურობდა საქართველოში შემოჭრილ რუსულ არმიას და თითქოს მისი ხელები ქართველების, ოსების, აფხაზების, ინგუშების, ჩეჩნების, რუსებისა და სხვათა და სხვათა სისხლით არ იყოს მოსვრილი. ჩვენი ვალია, შევახსენოთ ყველას, რომ რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ ჯერ არ დამთავრებულა და რომ საბჭოთა კავშირი ცოცხალია რუსეთის ფედერაციის სახით.

27 ნოემბერს პუტინი პარიზში ჩადის. ამ ვიზიტთან დაკავშირებით საფრანგეთში მცხოვრები ქართველები მხარდამჭერებთან ერთად აწყობენ საპროტესტო აქციას პარიზში 27 ნოემბერს, ნაშუადღევს 5 საათზე, პარიზის დროით. მოგიწოდებთ, მხარი დავუჭიროთ პარიზელ ქართველებს და 27 ნოემბერს, გრინვიჩის დროით 16 საათზე, ყველამ ერთად კიდევ ერთხელ შევახსენოთ ჩვენს მასპინძლებს მთელ მსოფლიოში, რომ რუსული ჯარი ჯერ კიდევ საქართველოში დგას და რომ ხვალ ეს ჯარი შეიძლება მათ ქვეყანაშიც აღმოჩნდეს, თუკი დღესვე არ ამოვდებთ ლაგამს გათავხედებულ რუსულ იმპერიალიზმს.

ევროპელებო, ფრთხილად იყავით, საბჭოთა კომუნიზმის აჩრდილი ისევ დაძრწის ევროპაში! იცოდეთ და ნუ დაგავიწყდებათ, რომ საქართველოს ომი თქვენი ომია, საქართველო დღეს დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის წინა ხაზზეა და საქართველოს გამარჯვება დასავლური ღირებულებების გამარჯვებაა, ე.ი. თქვენი გამარჯვებაა. ეს გამარჯვება აუცილებლად მოვა: ბერლინის კედლის აგება საბჭოთა კავშირის აგონიის მანიშნებელი იყო და ამ აგონიამ 25 წელს გასტანა, ბერლინის ახალი კედელი კი, რომელსაც რუსეთი საქართველოში აშენებს, რუსული იმპერიალიზმის დასასრულის დასაწყისია და ეს კედელი რუსეთის იმპერიასთან ერთად უფრო მალე უნდა დაინგრეს, რადგანაც ისტორიული დროის დინება დღეს უფრო სწრაფია, ვიდრე გასულ საუკუნეში. თქვენი, დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა მხოლოდ დააჩქარებს ამ პროცესს, — აცხადებს იულონ გაგოშიძე.

# ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი ისევ გამოფინეს

ეკა ირემაშვილი

ეროვნულ არქივში გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე ორგანიზატორებმა ის უნიკალური ექსპონატები წარმოადგინეს, რომლებიც არქივის ფონდებშია დაცული. დამთვალიერებელს შესაძლებლობა მიეცა, გაცნობოდა წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის მოღვაწეობის მასალებს წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო საზოგადოებებში. გამოფენისთვის კინო-ფოტოარქივიდან საგანგებოდ შეირჩა კადრები, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის.

ღონისძიება საქართველოს ეროვნული არქივისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სამეცნიერო-კულტურული საქველმოქმედო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა სოფელ ლიხაურში, აზნაურ სვიმონ თაყაიშვილის ოჯახში, რომელიც რუსეთის ჯარში მსახურობდა, თურქეთის საზღვრის მცველ ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა მდინარე ჩოლოქზე და სათანადო „კორდონის უფროსად“ იწოდებოდა. ექვთიმეს დედა ნინო თავად გიტელი ნაკაშიძის ასული იყო. ექვთიმეს ჰყავდა და ლისა და ძმები — ნიკო და ვარლამი.

სამი წლის ასაკში ფეხის მოტეხვის გამო, ექვთიმე მთელი ცხოვრების მანძილზე ხელჯოხზე დაყრდნობით დადიოდა. ექვთიმე სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. სწავლის დროს მუდმივ ხელმოკლეობას განიცდიდა და მოწაფეთა მომზადებით იღებდა შემოსავალს. ექვთიმე ერთ-ერთი მოწინავე მოწაფე იყო და ვერცხლის მედლით დაამთავრა გიმნაზია. სწავლა ექვთიმემ პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა. უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელიწადი ექვთიმე თაყაიშვილმა ფრიად ნაყოფიერად გამოიყენა — აღიჭურვა იმ დროისათვის შესაფერისი ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური განათლებით და თან ქართველმცოდნეობასაც დაეუფლა. საუნივერსიტეტო კურსის დასრულების შემდეგ დროებით პეტერბურგში დარჩა და კანდიდატის ხარისხი მიიღო.

თბილისში დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში დირექტორის, ალექსი ჭიჭინაძის მიწვევით, ბერძნულ და ლათინურ ენებს ასწავლიდა, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი, პარალელურად აქვეყნებდა ძველ ხელნაწერთა აღწერილობებს გაზეთ ივერიაში. ექვთიმე თაყაიშვილის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებს მტკიცე ნიადაგი მოუმზადა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. ისინი ხშირად ერთად მოგზაურობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ერთად ეძებდნენ, კრებდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს, სწავლობდნენ და აბინავებდნენ მუზეუმში. მან შეისწავლა და გამოიკვლია „პარხლის სახარება“. ამას მოჰყვა შატბერდული „მოქცევაი ქართლისაის“ ახლებური წაკითხვა და დათარიღება. მანვე გამოსცა „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“. საქართველოს ადრეული ისტორიისთვის უმნიშვნელვანესი იყო მის მიერ აღმოჩენილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერი. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა. ასევე გამოკვლეული აქვს „აბდულმესიანის“, „თამარიანისს“, „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „როსტომიანის“, „ქილილა და დამანას“, „რუსუდანიანის“, „ომანიანის“, თეიმურაზ I თხზულებათა, თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური შენიშვნებისა და სხვათა მრავალთა ხელნაწერები.



უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილ „ვეფხისტყაოსნის“ ძველ ხელნაწერებს. მან თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, საერთოდ კი 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თავმოყრილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის, რომელიც ვინმე კორინთელისაგან შეიძინა, ასევე მეფე გიორგი XI-ისათვის 1680 წელს მისი მდივნის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა თავისი მოხატულობით. ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა გადარჩენა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც სიუჟეტური მინიატურებით იყო დასურათებული.

ექვთიმე თაყაიშვილი ილია ჭავჭავაძეს განჯიდან თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაში ეხმარებოდა. მალე ექვთიმეს რედაქტორობით „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოსცა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული.

ექვთიმე გიმნაზიაში ლათინურის გარდა უკვე ისტორიასა და გეოგრაფიასაც ასწავლიდა. დირექტორის ადგილი გათავისუფლდა და ექვთიმეს გიმნაზიის ხელმძღანელობა შესთავაზეს. იგი ათი წლის განმავლობაში განაგებდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას, ყოველი საზაფხულო არდადეგების დროს კი აწარმოებდა არქეოლოგიურ გამოკვლევებს. მან სამგზის იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველო). პირველ ექსპედიციაში ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხისა და ახალქალაქის ზოგ ძეგლთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლები და ოლთისის ოლქის ნაწილი. მეორე ექსპედიციის დროს ექვთიმე თაყაიშვილმა ინახულა და აღწერა თორთუმის ხეობის ზემო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხროთის ტაძარი, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები. ამ არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგების მნიშვნელოვანი ნაწილი პარიზში გამოიცა. იგი ასევე იყო არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზატორი ლეჩხუმსა და სვანეთში, მონაწილეობდა ვანის აკროპოლისის გათხრებშიც. ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომს „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის“ მაღალი შეფასება მისცა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ. 1911 წლის 28 მარტს იგი აღნიშნული საზოგადოების დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

საქართველოს სამეცნიერო-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, რომლის მიზანი საქართველოს ისტორიის, მისი ხალხის ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების ძეგლების შესწავლა იყო. საზოგადოების თავმჯდომარე თავად ექვთიმე თაყაიშვილი იყო 1921 წლამდე. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ფართო და ნაყოფიერი მუშაობა გაშალა. ექვთიმე თაყაიშვილმა დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. იგი თავად იყო ამ სერიების ტომების შემდგენელი.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1919-1921 წლებში იგი გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე. დიდია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი ივანე ჯავახიშვილთან ერთად იმთავითვე იყო არჩეული „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ კომისიაში, იგი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი იყო და სამ სალექციო კურსს უძღვებოდა.

ბოლშევიკური რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 11 მარტს, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად საქართველო დატოვა. ის დასახლდა თავდაპირველად პარიზში, 1922 წლიდან ლევილში და დროგამოშვებით სწავლობდა ოქსფორდში. საფრანგეთში იგი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. მისი აღიარების დასტური იყო ის, რომ იგი ჯერ პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების, ხოლო შემდეგ საფრანგეთის სააქიო საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს.

გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძის ისტორიულად განსაკუთრებით ღირებული ნაწილი. მასში შედიოდა თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა — ოქრო-ვერცხლის ხატები და თვალ-მარგალიტით მოოჭვილი სხვა საგანძური, ძვირფასი ხელნაწერები, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის სასახლის განძეულობა, ბორჯომის სასახლის ქონება და სხვა მრავალი. მიუხედავად იმისა, რომ განძის მესაკუთრედ, ოფიციალურად, საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, განძს ექვთიმე თაყაიშვილი მეურვეობდა. განძის ცალკეული ექსპონატების ყიდვა სურდათ ევროპის სხვადასხვა მუზეუმებს, მაგრამ თაყაიშვილი ამაზე არ თანხმდებოდა. მან სასამართლოში მოიგო საქმე გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასულის, სალომე ობოლენსკაიას წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს პრეტენზია ჰქონდა ზუგდიდის მუზეუმიდან გატანილ განძეულობაზე. მოგვიანებით შეიქმნა „ქართული ოფისი“ და თუკი მანამდე განძის ოფიციალურ მესაკუთრედ საქართველოს ემიგრირებული მთავრობა ითვლებოდა, ამიერიდან განძი საფრანგეთმა დაისაკუთრა. წლების განმავლობაში ექვთიმე საფრანგეთის მთავრობისგან ითხოვდა, განძი საქართველოსთვის დაებრუნებინათ. მართლაც, 1938 წელს საფრანგეთმა დააბრუნა ხელნაწერები. საბოლოოდ კი ეს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

1945 წლის 11 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილი თბილისში დაბრუნდა. 1945 წლის 15 აპრილს ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებით დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორად, მიანიჭეს დამსახურებული პროფესორის წოდება, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1946 წელს ექვთიმე თაყაიშვილი საჯაროდ წარდგა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე მოხსენებით „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ“.

ექვთიმე თაყაიშვილს ჰყავდა მეუღლე, ივანე პოლტორაცკის ასული ნინო და ქალიშვილი. 1985 წელს რეჟისორმა რეზო თაბუკაშვილმა მის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. დიდი მეცნიერი 1953 წლის 21 თებერვალს, უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა. მის დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე მხოლოდ ორმოცამდე ადამიანი დაესწრო. ამჟამად იგი გადასვენებულია საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა. მის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილას, ვაშლოვანის ქუჩის 7 ნომერში კი მისი მუზეუმია განთავსებული.

**თეონა იაშვილი — ეროვნული არქივის დირექტორი:**

— ჩვენ ამ გამოფენაზე დამთვალიერებლის წინაშე წარმოვადგინეთ ის ექსპონატი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა 1920 წელს მიწერა მაშინდელ მთავრობას. ამ წერილის მიხედვით, იგი ხელისუფლებას არწმუნებდა, რომ გადაუდებლად აუცილებელია საქართველოში სახელმწიფო არქივის შექმნა. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ და განსაკუთრებით მომავალმა თაობამ, მეტი უნდა იცოდეს ამ ადამიანის შესახებ და მისი ღვაწლი საკადრისად უნდა იყოს დაფასებული.

ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა ეროვნულ არქივში ორ კვირას გაგრძელდება.

## რუსუდან ბოლქვაძემ იუბილე სპექტაკლით აღნიშნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მსახიობს კიდევ ერთხელ მიულოცეს 50 წლის იუბილე, ჯანმრთელობა, ბედნიერება და კიდევ არაერთი შემოქმედებითი წარმატება უსურვეს.

**მამუკა ქაცარავა, კულტურის და სოციალური სამსახურის თავმჯდომარე:**

— მერიამ გამოხატა თავისი დიდი პატივისცემა და სიყვარული ამ ღირსეული მსახიობის მიმართ და დედაქალაქის მერმა მას გადასცა ფულადი პრემია 3 ათასი ლარის ოდენობით.

**რუსუდან ბოლქვაძე, მსახიობი:**

— ეს იყო ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი, ძალიან ვინერვიულე. რომ მცოდნოდა ჩვენი დედაქალაქის ხელმძღვანელობის მიერ ასეთი რაღაც იყო ჩაფიქრებული, დავიმალებოდი. პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს უზომო ჩემი მაყურებლის წინაშე და სულ იმაზე ვფიქრობ, მათ ჩემი ნაშრომი მოეწონოთ. დიდი მადლობა ყველას ჩემი დაფასებისათვის და ჩემი მხრიდან იმედებს არასოდეს გაგიცრუებთ.


## განცხადებები

● ი/მ „პლანეტა — ე.რამიშვილი“ გთავაზობთ უახლეს სამკურნალო საშუალებას უძველესი რეცეპტით! იგი შეუცვლელია: ჩიყვის, ჩირქოვანი გლანდების, მასტოპათიის (კვანძები), ფიბრომის, კისტის, მომატებული პროლაქტინის, უნაყოფობის დროს. ტელ: 59-59-82; 858-59-59-82 ენვერი.

● სიახლე! ძვლის შეუხორცებელი მოტეხილობის, ართრიტების, ართროზების სწრაფშედეგიანი მკურნალობა მსოფლიოში აღიარებული „ცოცხალი წყლის“ საშუალებით, 100%-იანი შედეგით. კონსულტანტი ქ-ნი მართი მგალობლიშვილი. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38.

● ჭარბთმიანობა, სიგარეტის გადაჩვევა, პროსტატა, იმპოტენცია, კოლიტი, სახეზე გამონაყარი, უნებლიე შარდვა, გონებრივი ჩამორჩენა, ძვლის სისუსტე, დიაბეტი, სიმაღლეში ზრდა, გასუქება, გახდომა ამერიკული მცენარეული პრეპარატით, შედეგი 100%. ტელ: 45-52-83; 893-972413 საღამოს, იკითხეთ ქ-ნი ციცო.

● ძვლის ცვეთის შეჩერება, მარილების, კოქსართროზის, ოსტეოპაროზის (ძვლების გამოფიტვა, კიდურების დამოკლება) მცენარეული ძვლის მკვებავი ვიტამინებით 2-დან 25 წლამდე მოზარდებში ზრდის შეჩერება. ქონდროზი, გენეტიკური სიდაბლე. მკურნალობა ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38 ან 899-90-54-78 ქ-ნი. ქეთევანი.

● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.

● პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, პეჰატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. აღმაშენებლის 93.

● გახდომა თვეში 10-15 კგ, გასუქება თვეში 5 კგ-ით, სიმაღლეში ზრდა თვეში 3-5 სმ. ტელ: 34-02-38; 893-12-77-09 ნონა.

● მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გათავისუფლება, ორგანიზმისა და ღვიძლის გაწმენდით, დამოკიდებულების მოხსნა, ასევე იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შეკავება-შეუკავებლობა, ტკივილი და წვა შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-96-89-15 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრეპარატებით. საუკეთესო შედეგებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. საუკეთესო შედეგებით. ტელ: 899-53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

X-XIII ს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608

ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები



(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# საქართველო პუმებს დაუხვდება

შაბათს, 14 ნოემბერს, საქართველოში სპორტული დღეა — 14 საათზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ირლანდიელ თანატოლებს „მიხეილ მესხის“ სტადიონზე დაუხვდება, ხოლო 16 საათსა 15 წუთზე „ეროვნულზე“ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები არგენტინის „ა“ ნაკრებს შეერკინება.

არგენტინის ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება და რეიტინგშიც მე-6 ადგილზეა. ეს გასაკვირი არც არის — პირველი სამი ადგილი სამხრეთ აფრიკას, ახალ ზელანდია, ავსტრალიას კარგა ხანია დაბევებული აქვთ, ხოლო, მათ გარდა, მხოლოდ ირლანდიასა და საფრანგეთს ჩამორჩება და თვით ინგლის-უელსს უსწრებს, თუმცა „პუმები“ საქართველოში უძლიერესი შემადგენლობით არ ჩამოდიან და მხოლოდ ძირითადად ადგილობრივ ჩემპიონატში მოთამაშე რაგბისტებით დაკომპლექტებული „ა“ ნაკრებით დაგვიპირისპირდება. ამის გამო ეს მატჩი რეიტინგში არ აისახება, თუმცა არგენტინელებთან თამაში საქართველოში რაგბის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნება.

სწორედ ამის გამო საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი. ერთადერთი დანაკლისი პირველხაზელი დავით ზირაქაშვილი იქნება, დანარჩენები კი ყველა თბილისშია და საბრძოლველად ემზადება.

თუ ვის ათამაშებენ მწვრთნელები მოედანზე, ამას მატჩის დაწყებამდე 48 საათით ადრე გაარკვევენ, მანამდე კი მათ სიაში შემდეგი მორაგბეები არიან.

საქართველოს ნაკრები: შერკინება: დავით ხინჩაგაშვილი (ბრივი, საფრანგეთი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი, საფრანგეთი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი, საფრანგეთი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული, რუმინეთი), გოდერძი შველიძე (მონტობანი, საფრანგეთი), ილია ზედგინიძე (კარკერენიერი, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (მასი, საფრანგეთი), გიორგი ჩხაიძე, მამუკა გორგოძე (ორივე მონპელიე, საფრანგეთი), რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი);

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (ფარული, რუმინეთი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, იტალია), მალხაზ ურჯუკაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი (ორივე ფიჟაკი, საფრანგეთი).

არგენტინის ნაკრები: შერკინება: როდრიგო ბაესი, მატიას კორსეტე (ორივე ლისეო), როდრიგო ბრუნო (დე ვილია მარია), უგო შიერანო (ტალა), გასტონ დე რობერტისი (დე ბელია ვისტა), მარიანო გალარსა (უნივერსიტარიო), ხუან გომესი (ლიდსი, ინგლისი), პაბლო ენი (ბრივი, საფრანგეთი), ბენჯამინ მაჯონი (ტუკუმანი), იგნასიო პასმანი (ჩამპანიატი), ფრანსისკო ჩაპარო, ტომას როანი (ორივე ლა პლატა), ალვარო ტეხედა (პარმა, იტალია);

უკანა ხაზი: ბელისსარიო აგულია (ინდუ), ფრანსისკო ალბარასინი (ლა პლატა), მიგელ აბრამოვიჩი (ლუმნი), ტომას დე ვედია (სლც), ხუან პაბლო ესტელიესი (როსარიო), მარტინ ლანდახო (ცასლ), ფრანსისკო ხოსე მერელიო (დე ბელია ვისტა), იგნასიო მიერესი (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ორასიო ალბერტო სან მარტინი (ტალა), ხოაკინ ტუკულეტი (ტილოსი), მატიას ვიასო (ბურგუენი, საფრანგეთი), მარტინ ბუსტოს მოიანო (კორდობა), სანტიაგო გონსალეს იგლესიასი (ლუმნი).

# ღირსეულთა დაფასება

სამშაბათს მსოფლიოს ჰოკეის ლეგენდები სტივ აიზერმანი, ბრაიან ლიჩი, ბრენტ ჰალი, ლიუკ რობიტაილი და აგრეთვე „ნიუ ჯერსის“ მენეჯერი ლუ ლამორელო ჰოკეის დიდების დარბაზში შეიყვანეს. დაჯილდოების ცერემონიალს ტორონტომ უმასპინძლა.

აიზერმანმა ნჰლ-ში 22 სეზონი ითამაშა და მთელი თავისი კარიერა „დეტროიტს“ მიუძღვნა, აქედან 20 წლის მანძილზე კაპიტნობდა გუნდს, რაც დღემდე რეკორდად ითვლება, სამჯერ მოიგო სტენლის თასი და ერთხელ — ოლიმპიადა.

ჰალის ნჰლ-ური კარიერა 19 წელს ითვლის და ეს დრო 5 გუნდში გაატარა — „კალგარში“, „სენტ ლუისში“, „დალასში“, „დეტროიტში“, „ფინიქსში“. ორჯერ ფლობდა სტენლის თასს და ლიგის ისტორიაში უეინ გრეცკისა და გორდი ჰოუს შემდეგ მესამე ადგილი უკავია გატანილი შაიბების მაჩვენებლით.

ლიჩმა ნჰლ-ში 18 სეზონი გაატარა და „რეინჯერსში“, ტორონტოსა“ და „ბოსტონში“ უთამაშია. სტენლის თასს მხოლოდ ერთხელ ფლობდა და ორჯერ იქნა დასახელებული ლიგის საუკეთესო მცველად.

19 სეზონი გაატარა ნჰლ-ში რობიტაილმაც („ლოს ანჯელესი“, „პიტსბურგი“, „რეინჯერსი“ „დეტროიტი“). სტენლის თასი მანაც ერთხელ მოიგო, არის კანადის თასის მფლობელი და მსოფლიოს ჩემპიონი.

# ვაშინგტონს რუსეთის არ სჯერა

ნაციონალური ჰოკეის ლიგის (ნჰლ) კლუბის „ვაშინგტონ კაპიტალზის“ პრესსამსახურმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ეჭვი აქვთ შეტანილი თავიანთი ფორვარდის ალექსანდრ ოვეჩკინის სიმართლეში, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ ტრავმის გამო მინიმუმ ერთი თვე გაუცდება.

გეტყვით, რომ ოვეჩკინმა ტრავმა 10 დღის წინ მიიღო „კოლამბუსთან“ მატჩის დროს. თავიდან ჰოკეისტი აცხადებდა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის და ნებისმიერ წუთს შეუძლია დაბრუნდეს, შემდეგ კი ეს პროცესი ერთი კვირით გაიწელა. ბოლოს კი ოვეჩკინმა ამერიკულ პრესაში მიცემული ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ გამოჯანმრთელებას 4-5 კვირა დასჭირდება.

— საჩქარო არაფერი მაქვს. ვალდებული ვარ, 100 პროცენტით დავიბრუნო საჭირო კონდიციები და მხოლოდ შემდეგ დავუბრუნდე ყინულს, — განაცხადა „ვაშინგტონისა“ და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელმა.

ჰოკეისტის ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება კლუბი და თვლის, რომ გამოჯანმრთელების პროცესი ამ დროითაც არ უნდა გაწელილიყო.

როგორც ჩანს, საქმე უკვე ინტერესის სფეროსთან გვაქვს — ოვეჩკინს არ სურს, თავისი ფორსირებული დაბრუნებით გარისკოს და 2010 წლის ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიდაზე თამაში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ეჭვქვეშ დააყენოს, ხოლო „ვაშინგტონს“ სურს, თავისი ბომბარდირი რაც შეიძლება სწრაფად დააბრუნოს სათამაშოდ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი (17)**

**მეოთხედფინალები**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ურუგვაი | 3:3(4:2პ) |
| ნიგერია-ს.კორეა | 3:1 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ლივერპული-ბირმინგემი | 2:2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-შეფილდი | 2:2 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ტორინო-ლეჩე | 2:2 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აახენი-ჰანზა | 1:0 |

**საფრანგეთი. II ლიგა**

| | |
|---|---|
| ნანტი-გენგამი | 0:2 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-ნავალი | 1:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბაზელი-ქსამაქსი | 4:1 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| აეკ-ლარისა | 3:1 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| სლავია-ვიქტორია | 0:0 |
| სლოვაცკო-სპარტა | 0:1 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| ურაკანი-არსენალი | 1:1 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ფინიქსი | 115:119 |
| ნიუ იორკი-იუტა | 93:95 |
| სან ანტონიო-ტორონტო | 131:124 |
| გოლდენ სტეიტი-მინესოტა | 146:105 |
| კლიპერსი-ნიუ ორლეანი | 84:112 |

**ჩოგბურთი**

**პარიზი. ატპ. პაროლ**

| | |
|---|---|
| ბეკი-კუბოტი | 4:6;6:3;4:6 |
| ბერდიხი-მილოტი | 6:3;7:6 |
| მატი-ტროიცკი | 6:7;0:6 |
| ჰანესკუ-მონტანესი | 6:3;3:6;6:7 |
| ისნერი-ფალა | 4;6;7:6;7:5 |
| საფინი-ასკიონი | 6:4;4;6;7:6 |
| ლუბიჩიჩი-გროჟანი | 7:6;6:4 |
| ალმაგრო-ჩიუდინელი | 6:2;6:4 |
| დავიდენკო-ბეკერი | 6:2;6:1 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-ლოს ანჯელესი | 4:1 |

# გიორგი ლომაია: „ვერ გეტყვით, ქეცბაიას ნაკრებში ვითამაშებ თუ არა“

**აზერბაიჯანის ჩემპიონატში 29-მდე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს და მეზობელ ქვეყანაში ალიან პოპულარულებიც არიან. ამის გამო მათთან ინტერვიუები ხშირად იბეჭდება იქაურ პრესაში. ირითადად საუბარი აზერბაიჯანის ჩემპიონატს უკავშირდება, თუმცა, ხდება ისეც, რომ საქართველოს ნაკრების რომელიმე ფეხბურთელს ჩვენს ნაკრებზეც ეკითხებიან. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ, თქვენთვის ბაქოს „ინტერისა“ და საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაიასთან ინტერვიუ შემოგვეთავაზებინა.**



***— „ყარაბახთან“ მოგების შემდეგ საშუალება მოგეცათ, ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყავით...***

— მხოლოდ ეს არ ყოფილა სტიმული მატჩის წინ. ყველას კარგად გვქონდა გათავისებული, რომ ასეთი მატჩები ჩემპიონატში 5 ან 6 იქნება და იგი არა — 3, არამედ 6 ქულად ფასდება. ჩავთვალოთ, რომ ამ ქულებს ოქროს ფასი აქვს, რადგან ჩემპიონატში პირველ ექვსეულში მყოფ გუნდებთან აღებულ ქულებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

***— მთლიანად მატჩი თუ მოგეწონათ და მისგან სიამოვნება თუ მიიღეთ?***

— ნამდვილად. ეს მატჩი ძნელად დასავიწყებელი იქნება. დაძაბულობა, კონკურენცია, ბრძოლა ყველა ბურთისთვის — სწორედ ამის გამოა საინტერესო ფეხბურთი. ფეხბურთელებმა ძალიან მოინდომეს და ღირსეულად გავიტანეთ 2 ბურთი. პირველ ტაიმში კიდევ იყო თანაბარი ბრძოლა, ხოლო შესვენების შემდეგ უპირატესობა მთლიანად ჩვენს ხელში გადმოვიდა და დავამტკიცეთ, რომ „ყარაბახზე“ ძლიერი გუნდი ვართ.

***— თვლით, რომ ანგარიში ზუსტად ასახავს გუნდების ძალთა თანაფარდობას?***

— დიახ. ამაში ეჭვი ერთი წამითაც არ მეპარება. ბოლო მატჩში აშკარად კონკურენტზე ძლიერი ვიყავით.

***— ბოლო 10 წუთი თქვენთვის ძალიან ნერვული გამოდგა. რატომ მოხდა, რომ „ინტერმა“ ასე არადამაჯერებლად დაასრულა მატჩი?***

— ასეთები ფეხბურთში ხდება. ჩვენ 2:0-ს ვიგებდით და ფიქრი უკვე იმაზე დავიწყეთ, რომ მატჩი ასევე დაგვესრულებინა. მართალია, მეტოქე მოულოდნელად შეტევაზე გადმოვიდა და რიკოშეტის წყალობით გოლიც გაგვიტანა, რამაც მეტი თავდაჯერებულობა შემატა და დაწოლა გააძლიერეს. რა თქმა უნდა, ასეთ მომენტში გარკვეული პანიკა შეიქმნა და მათაც შეეძლოთ, ესარგებლათ და ჩვენთვის ქულები აერთმიათ, მაგრამ მოვახერხეთ და ამის საშუალება არ მივეცით.

***— თქვენთვის აზერბაიჯანის ჩემპიონატი სიახლეა და „ყარაბახის“ წინააღმდეგაც პირველად ითამაშეთ. თუ მოგეწონათ „ყარაბახი“ და რას გამოყოფდით მეტოქე გუნდის თამაშში?***

— გუნდი მართლაც ძალიან კარგია. „ყარაბახმა“ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ ევროლიგაზე თამაშის დროს მიიპყრო, ჩვენთან თამაშის დროს კი დაამტკიცეს, რომ სერიოზული და სოლიდური გუნდია, რომელსაც თამამად შეუძლია ბრძოლა ოქროს მედლებისთვის. თუმცა, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მათზე სუსტები არ ვართ, მეტიც, მათზე ძლიერები აღმოვჩნდით. რაც შეეხება ხარისხს, ძალიან მომეწონა მათი გუნდური თამაში. კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა გამიჭირდება — „ყარაბახი“ ერთიანი მექანიზმია. ამასთან, გოლით და ბოლო წუთამდე თამაშით დაამტკიცეს, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდია და უბრძოლველად არაფერს დათმობენ. ვფიქრობ, მათი ბოლოდროინდელი წარმატების მიზეზიც სწორედ ეს არის.

***— თქვენს გუნდზე რას იტყვით, აკრიფა „ინტერმა“ ოპტიმალური ფორმა?***

— ძნელია სათქმელია. ბევრმა ფეხბურთელმა მართლაც მიაღწია ოპტიმალურ ფორმას, ბევრსაც კიდევ სჭირდება მომატება. ყველა შემთხვევაში, ჩვენ თამაშებს ვიგებთ და გამოდის, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. შესაძლებლობებს ზღვარი არ აქვს და იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებთ თამაშს. გუნდის პოტენციალი გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ მომავალ პროგრესზე.

***— ახლახან საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. ექტორ რაულ კუპერის ადგილზე ახალგაზრდა და ამბიციური თემურ ქეცბაია დაინიშნა, რომელიც ბოლოს კვიპროსულ „ანორთოსისა“ და ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ წვრთნიდა. როგორი ურთიერთობა გაქვთ ქეცბაიასთან?***

— თავის დროზე მასთან ერთად თამაში საქართველოს ნაკრებშიც მოვასწარი. მაშინ ქეცბაია კარიერას ამთავრებდა, ხოლო მე ნაკრებს ვეჩვეოდი. თემური კარგი ფეხბურთელი იყო, ხოლო შემდეგ ძლიერი მწვრთნელი გახდა. ურთიერთობა მასთან კარგი მაქვს, მაგრამ, ვერ გეტყვით, ვითამაშებ თუ არა მის ხელში ნაკრებში.

***— რატომ?***

— ყველა მწვრთნელს თავისი საფეხბურთო ფილოსოფია აქვს. შესაძლოა, ქეცბაია უფრო სხვა ფეხბურთელებს ენდოს ან შანსი სულაც ახალგაზრდებს მისცეს. ვერც იმას გეტყვით, რომ შეუცვლელ მეკარედ ვითვლები საქართველოში. თუ ისევ მიმიწვევენ ნაკრებში, სიამოვნებით ვითამაშებ — საქართველო ჩემი ქვეყანა და ჩემი გუნდია.

***— უკვე მიულოცეთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა?***

— არა, მისთვის არ დამირეკავს. საერთოდ, ასეთ საქციელს მართებულად არ ვთვლი. ფეხბურთელებში ასე მიღებული არ არის, ჩვენ ერთმანეთს სიტყვებით კი არ ვულოცავთ, არამედ — წარმატებული თამაშით.

# ლევან ყენია გაჩერებას არ აპირებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

უფრო გაიზარდა სწორედ მაგათის მოსვლის შემდეგ, რომელმაც გასულ სეზონში ჩემპიონობამდე მოკრძალებული „ვოლფსბურგი“ მიიყვანა, თუმცა, როგორც ქართველი ფეხბურთელი ამბობს, გუნდი ყოველთვის მოსაგებად გადის მოედანზე, მაგრამ მათ წინაშე კონკრეტული ამოცანა არ დგას.

ყენიასთან ერთად მაგათის ხელში გუნდის ძირითადში სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ — კარლოს სამბრანო, ლუის ჰოლბტი, კრისტოფ მორიცი, ჟოელ მატიპი. თუმცა, ჯერჯერობით, ყველაზე ხმაურიანად ყენია ითვლება, მაგრამ თავად ფეხბურთელი კმაყოფილი მაინც არ არის.

— კიდევ ბევრი მაქვს სამუშაო და ამას კარგად ვათვითცნობიერებ. ჩემთვის ძალიან ძნელი იქნებოდა გერმანიაში თამაში, აქ ჩემი თანამემამულე ლევან კობიაშვილი რომ არ დამხვედროდა. სწორედ ლევანი გახდა ჩემთვის მაგალითი და უფროსი მეგობარი. ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი დიდ გუნდს და ახლა მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ ყოველი მომდევნო მატჩი წინაზე უკეთესად ვითამაშო. ვიცი, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და იმასაც ვხედავ, რომ შრომა ტყუილად არ მეკარგება, — აცხადებს ქართველი ფეხბურთელი.

თუ „შალკეს“ ლიდერობისთვის ყენიას დიდი ბრძოლა მოუწევს, საქართველოს ნაკრებში ამ ტვირთის ზიდვას 16 წლიდან ცდილობს, მაგრამ ქვეყნის პირველი გუნდისთვის წარმატების მოტანა ჯერ არ ხერხდება.

— მიძნელდება ამ თემაზე საუბარი. უფრო არ მინდა, რადგან არც ამის სურვილი მაქვს. ნაკრების შედეგი ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია და ყოველთვის შევეცდები, ყველაფერი გავიღო იმისთვის, რომ გულშემატკივრებს უდიდესი სიხარული მივანიჭო. შეცდომებზე საუბარი ან ვინმეს დადანაშაულება გუნდის წარუმატებლობაში მიზანმიმართულად არ მიმაჩნია, — თვლის ყენია.

თუ ეროვნულ გუნდში ყენიამ უკვე 18 მატჩის ჩატარება მოასწრო, ახალგაზრდულ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობას ხელის თითებიც ეყოფა. ამის გამო გასაკვირი ის იყო, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, როდესაც საქართველოს ნაკრებს შანსი ჰქონდა, პირველი გამარჯვება მოეპოვებინა, ყენია ახალგაზრდულში გაანათხოვრეს.

— ახალგაზრდულ ნაკრებს დიდი გუნდიდან მხოლოდ მე არ ვეხმარები. საერთოდ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა ასაკის ნაკრებში ვთამაშობ, რადგან ყველგან ქვეყნის ღირსებას ვიცავ. კარგად მახსოვს ჰერბერტ ცანკერის დროს დებიუტი 17-წლამდელთა ნაკრებში და იმ ემოციას ვერასდროს ვივიწყებ, — ამბობს ქართველი ნახევარმცველი.

რას უნდა ველოდოთ ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელისგან უახლოეს მომავალში? ყენიას თქმით, ყველაფერს სწორედ მომავალი გვიჩვენებს, რადგან მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებს.

ჩვენი მხრივ, დავამატებთ, რომ ყენიას 14 და 18 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელოდა ირლანდიისა და შვეიცარიის ნაკრებების წინააღმდეგ. აქედან ირლანდიელებთან მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, ტრავმის გამო შვეიცარიელებთან ვერ დაეხმარება ოთარ გაბელიას გუნდს, რაც ძალიან დიდი დანაკლისი იქნება ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებისთვის.

# პლატინი უკრაინას არ შეცვლის

ბოლო დროს ძალიან დიდი აჟიოტაჟია ატეხილი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. „ბებერი კონტინენტის“ უახლოეს ჩემპიონატს ერთდროულად პოლონეთმა და უკრაინამ უნდა უმასპინძლოს, თუმცა უკრაინაში სერიოზული პრობლემები წარმოიშვა, ჯერ ფინანსური კრიზისის თვალსაზრისით, ხოლო შემდეგ — ღორის გრიპის გავრცელებასთან დაკავშირებით. იყო საუბრები იმაზეც, რომ უკრაინა შესაძლოა გერმანიას ან შვედეთს ჩაენაცვლებინა, მაგრამ უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი კატეგორიულად აცხადებს, რომ მასპინძელი არ შეიცვლება და უკრაინა აუცილებლად უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს.

— ევროპის ჩემპიონატი ყველა შემთხვევაში უკრაინა-პოლონეთში ჩატარდება. საკითხი გასარკვევია მხოლოდ სტადიონებთან დაკავშირებით — უკრაინა ევროპის ჩემპიონატს 4 სტადიონზე უმასპინძლებს თუ 2-ზე. ერთი რამ ნათელია — კიევის სტადიონი უკვე მზად არის მასპინძლობისთვის, — განაცხადა პლატინიმ.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალურად ევროპის ჩემპიონატს პოლონეთისა და უკრაინის 4-4-მა ქალაქმა უნდა უმასპინძლოს. პოლონური მხარე უკვე მზად არის სამასპინძლოდ, უკრაინელებს კი განაცხადი კიევის, დონეცკის, ლვოვისა და ხარკოვის სტადიონებზე ჰქონდათ შეტანილი. აქედან სტანდარტს ჯერჯერობით მხოლოდ დედაქალაქური სტადიონი აკმაყოფილებს, დანარჩენებმა კი გარანტიები 30 ნოემბრამდე უნდა ჩაატარონ. საბოლოო გადაწყვეტილებას უეფა 10-11 დეკემბერს გამართულ აღმასრულებელ სხდომაზე მიიღებს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი

**11 ნოემბისთვის**



წლის 315-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 50 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

23-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.

ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელისა (900). ღირსი მოწამე ანასტასია რომაელისა (III); ღირსი აბრაამ დაყუდებულისა და ნეტარი მარიამისა, ძმისწულისა მისისა (დაახლ. 360); ღირსი ანნასი (826); მოწამეთა: კლავდისა, ასტერისა, ნეონისა და თეოლინასი (285).

**დაიბადნენ:**

1524 - პიერ დე რონსარი, ფრანგი პოეტი.

1729 - ლუი ანტუან დე ბუჰენვილი, პირველი ფრანგი მეზღვაური, რომელმაც მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა.

1821 - ფიოდორ დოსტოევსკი, რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1881 წელს.

1898 - რენე კლერი, ფრანგი კინორეჟისორი, გარდაიცვალა 1962 წელს.

1899 - ალფრედ ჰიჩკოკი, ამერიკელი კინორეჟისორი, პროდიუსერი.

1928 - კარლოს ფუენტესი, მექსიკელი მწერალი.

1939 - ბესიკ ხარანაული, პოეტი.

**გარდაიცვალნენ:**

565 - იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპერატორი.

1884 - ალფრედ ედმუნდ ბრემი, გერმანელი მეცნიერი, "ცხოველთა ცხოვრების" ექვსტომეულის ავტორი.

1946 - ნიკოლაი ბურდენკო, ცნობილი რუსი ქირურგი.

1983 - არნო ბაბაჯანიანი, კომპოზიტორი.

1986 - ვიაჩესლავ მოლოტოვი, საბჭოთა ეპოქის პარტიული მოღვაწე.

1996 - ვანგა, ბულგარელი წინასწარმეტყველი ქალი.

**მოვლენები:**

1790 წელი - ინგლისში ჩინეთიდან პირველად ჩაიტანეს ქრიზანთემები.

1905 წელი - დაიწყო სევასტოპოლის გარნიზონის მეზღვაურთა აჯანყება ლეიტენანტ შმიდტის ხელმძღვანელობით.

1919 წელი - დიდ ბრიტანეთში პირველად შესრულდა ორწუთიანი დუმილის რიტუალი ომში დაღუპულთა ხსოვნის საპატივსაცემოდ.

1925 წელი - ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა ლუი არმსტრონგმა თავისი პირველი ფირფიტა ჩაწერა.

1942 წელი - მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დაიპყრეს სამხრეთ საფრანგეთი.

1965 წელი - როდეზიის (თანამედროვე ზიმბაბვეს) პრემიერ-მინისტრმა იენ სმიტმა ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

1975 წელი - პორტუგალიამ დამოუკიდებლობა მიანიჭა ანგოლას.

1987 წელი - ვან გოგის ნახატი "ზამბახები" რეკორდულ ფასად - 53.6 მილიონ დოლარად გაიყიდა.

1997 წელი - საქართველოში მიიღეს კანონი "სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ".

**ღირსსახსოვარი დღეები:**

მეცნიერებისა და მშვიდობის საერთაშორისო კვირეული.

პოლონეთი - დამოუკიდებლობის დღე.

აშშ - ვეტერანების დღე.

ფინეთი - მამების დღე.

კანადა - მიცვალებულთა ხსოვნის დღე.

*მედიანიუსი*

# აშშ და ევროპა მარსს ერთად შეისწავლიან



აშშ-ისა და ევროპის კოსმოსურმა სააგენტოებმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას მარსის ერთობლივი კვლევების შესახებ.

ვაშინგტონში ხელმოწერილი შეთანხმება ევროპელ და ამერიკელ სპეციალისტებს მარსზე ერთობლივი ექსპედიციების კოორდინირებული დაგეგმვის შესაძლებლობას აძლევს.

თანამშრომლობა მარსის ორბიტაზე 2016 წელს კოსმოსური აპარატის გაშვებით დაიწყება. შემდეგ, 2018 წლისათვის, მარსზე თვითმავალი აპარატების გაგზავნა იგეგმება, რომლებსაც 2020 წლისთვის კიდევ რამდენიმე აპარატი მიჰყვება.

პროგრამის საბოლოო მიზანს დედამიწაზე მარსის ქანებისა და ნიადაგის ჩამოტანა წარმოადგენს.

ერთობლივ დოკუმენტზე აშშ-ისა და ევროკავშირის კოსმოსური სააგენტოების ხელმძღვანელებმა ჩარლზ ბოლდენმა და ჟან-ჟაკ დორდენმა მოაწერეს ხელი.

მარსის შემსწავლელ ერთობლივ ინიციატივას რამდენიმე თვის განმავლობაში იხილავდნენ. უკვე შეთანხმებულია მისი ძირითადი ელემენტები, გამოკვლევის მასშტაბები და ფინანსირების წყაროები.

ევროპასა და აშშ-ის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ერთობლივი ძალისხმევით „წითელი პლანეტის" გამოკვლევა უფრო ეფექტური იქნება.

იგი ორივე სააგენტოს ფინანსურ პრობლემებს შეუმსუბუქებს და მათ შეთანხმებული განრიგის დაცვის შესაძლებლობას მისცემს. ამ შეთანხმებით მარსისაკენ ექსპედიცია ყოველ ორ წელიწადში გაემართება.

ევროპის კოსმოსური სააგენტოს წევრმა ქვეყნებმა მარსის კვლევების პროგრამის ასიგნებებისათვის 850 მილიონი ევრო გამოყვეს. ეს ციფრი ამერიკელებთან დაგეგმილი ერთობლივი პროგრამის ფინანსირებისათვის დაახლოებით მილიარდ ევრომდე უნდა გაიზარდოს.

ეს დამატებით ფინანსირებასთან არის დაკავშირებული და ის, თუ რომელი ქვეყნები გაიღებენ დამატებით ხარჯებს, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

საერთო ჯამში, პროგრამა რამდენიმე ხომალდის გაშვებას აპირებს. 2016 წელს მარსისაკენ გაემართება მარსის ატმოსფეროს შემსწავლელი ორბიტული აპარატი, რომელიც მასში სხვადასხვა გაზის მინარევების, მათ შორის, მეთანის აღმოჩენას შეეცდება. ამ მისიის დროს მარსის ზედაპირზე სტატიკურ მეტეოროლოგიურ სადგურსაც დაუშვებენ.

ექსპედიცია ევროკავშირის საერთო ხელმძღვანელობით წარიმართება.

2018 წლისათვის მარსზე ევროპული და ამერიკული მარსმავლების ჩატანაა დაგეგმილი. ატმოსფეროში შესვლა და დაშვება ნასას ხელმძღვანელობით წარიმართება.

2020 წლისათვის გეოდეზიური და ეკოლოგიური გამოკვლევების ქსელის შექმნა იგეგმება.

მეტეოროლოგიური სადგური, რომლის მარსზე დაშვებაც 2016 წლისათვის იგეგმება, ამას წინათ მარსზე დაშვებულ „ფენიქსზე" პატარა იქნება. ევროპა შეეცდება, მარსზე იგი წითელი პლანეტის ქვიშის ქარიშხლების სეზონის დროს დაუშვას.

ასეთი ქარიშხლები ზოგჯერ მარსის მთელ ზედაპირს მოიცავს ხოლმე, მისი ატმოსფეროს შემადგენლობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს და მარსის ატმოსფეროში შესვლას ხელს უშლის.

# ჯენიფერ ლოპესი ყოფილ ქმარს უჩივის



ამერიკელმა მომღერალმა და მსახიობმა ჯენიფერ ლოპესმა თავის ყოფილ მეუღლეს, ოჯანი ნოას, მორიგი მრავალმილიონიანი სარჩელი წაუყენა. ყოფილი ქმარი 1997 წელს თაფლობის თვის დროს ინტიმური ხასიათის ვიდეოჩანაწერის გამოქვეყნებას აპირებდა.

ლოპესი და ნოა, რომელიც მაშინ მაიამიში ჩვეულებრივი ოფიციანტი იყო, 1997 წლის 22 თებერვალს დაქორწინდნენ, მაგრამ ქორწინებამ ერთ წელზე ნაკლებ ხანს გასტანა.

განქორწინების შემდეგ მეუღლეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პირადი ცხოვრების გაუმჟღავნებლობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ნოამ 2006 წელს შეთანხმება დაარღვია და მომღერალთან ერთობლივი თანაცხოვრების შესახებ წიგნის წერა დაიწყო. მაშინ ლოპესმა ორგულ ყოფილ ქმარს სასამართლოს საშუალებით 545 ათასი დოლარი აართვა.

მორიგი სასამართლო განხილვის საგნად იქცა დოკუმენტური ფილმი „როგორ ვიქორწინე ჯენიფერ ლოპესზე: ჯეი ლოს და ოჯანი ნოას ისტორია". ამ ფილმის გადაღებას ოჯანი ნოა უახლოეს მომავალში გეგმავდა.

ფილმში ნოას ოჯახური არქივის ვიდეოჩანაწერის ჩართვა სურდა, მათ შორის, თაფლობის თვის დროს სასტუმროში გადაღებული ე.წ. ჰოუმ ვიდეოსი.

როგორც ლოპესი ამტკიცებს, ამ ჩანაწერებზე იგი მეტად პიკანტურ სიტუაციებშია გადაღებული, მინიმალური ტანისამოსით. ჯენიფერ ლოპესი დარწმუნებულია, რომ მსგავსი ფილმი ყოფილ მეუღლეებს შორის დადებულ შეთანხმებას არღვევს და იმედი აქვს, რომ ნოას მინიმუმ 10 მილიონ დოლარს წაართმევს.

ამჟამად ლოს ანჯელესის სასამართლომ ნოას ფილმის გავრცელება ან გაყიდვა აკრძალა. მიუხედავად ამისა, ჯენიფერ ლოპესის ყოფილი ქმარი ფარხმლის დაყრას არ აპირებს.

# „ემი" „ბითლზის" სიმღერების ინტერნეტით გაყიდვის აკრძალვას ცდილობს



ხმისჩამწერი კომპანია „ემი" სასამართლო გადაწყვეტილებით შეიარაღდა და ამერიკულ ინტერნეტ-საიტს „ბითლზის" ჩანაწერების გაყიდვას უკრძალავს.

ლოს ანჯელესის სასამართლომ მიიჩნია, რომ ინტერნეტ-საიტ „ბლუბით დოთ ქომს" „ბითლზის" ჩანაწერების გაყიდვის ან მათი შესრულების უფლება არ გააჩნია.

„ბლუბითის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უკვე გაუყიდიათ „ბითლზის" ხელახლა ჩაწერილი სიმღერები, მაგრამ სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს ამ განცხადების დამამტკიცებელი დამაჯერებელი საბუთი არ წარმოუდგენია.

„ბითლზი" ცნობილი ანსამბლების იმ მცირერიცხოვანი ჯგუფის წევრია, რომელთა სიმღერებიც ინტერნეტით ჯერ არ იყიდება.

სარჩელში ასევე აღნიშნულია, რომ ინტერნეტ-საიტს მრავალი კომპოზიციის ან კომპოზიტორთა ნაწარმოებების გაყიდვისათვის აუცილებელი ლიცენზიები არ აუღია.

ინტერნეტ-საიტის მფლობელი აცხადებს, რომ დამატებითი ლიცენზიების აღება არ ესაჭიროება, რადგან გასაყიდად გამოტანილი მუსიკა ე.წ. ფსიქოაკუსტიკური სიმულაციის მეთოდით იყო გადაწერილი.

მისი თქმით, ეს მეთოდიკა მას საშუალებას აძლევს, გაყიდოს მუსიკა, რომელიც, პრაქტიკულად, არ განსხვავდება ორიგინალისაგან, მაგრამ, იმავდროულად, საავტორო უფლებების კანონის მოქმედების სფეროში არ ხვდება.

ეს დებულება ეხება აგრეთვე ე.წ. ტრიბიუთ ბენდებს ჯგუფებს, რომლებიც, მაგალითად, იმავე „ბითლზის" სიმღერებს ასრულებენ, თუმცა, ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლებები არ ირღვევა, ჯგუფებმა ავტორებს თანხის ნაწილი უნდა გადაურიცხონ.

„ემის" სარჩელის განხილვა 20 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

„ემი", რომელსაც „ბითლზის" ჩანაწერები ეკუთვნის, დიდი ხანია, რაც „ეფლ" ქორფორეიშნთან", „ბითლზის" ჩანაწერების კატალოგის მფლობელთან აწარმოებს მოლაპარაკებას ალბომებისა და კომპოზიციების ინტერნეტით გაყიდვის შესაძლებლობის შესახებ.

# ჩვილი ბავშვები დედის ენაზე ტირიან



როგორც ირკვევა, ახალშობილი ბავშვები მშობლის აქცენტის შეთვისებას ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის განმავლობაში ასწრებენ.

ჟურნალ „ქარენთ ბაიოლოჯის" მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევის თანახმად, ფრანგი ახალშობილები ტირილის დროს ნელ-ნელა უწევენ ინტონაციას, ისე, როგორც ფრანგები ლაპარაკობენ, ხოლო გერმანულენოვანი ოჯახების ჩვილი ბავშვები, პირიქით, დაღმავალი ინტონაციით ტირიან.

ამ გამოკვლევის ავტორები ასკვნიან, რომ ბავშვები ენის ჟღერადობას დედის მუცელში ყოფნის დროს სწავლობენ.

მანამდე ცნობილი იყო, რომ ახალშობილებს მუცლად გაგონილი ხმების დამახსოვრება შეეძლოთ, განსაკუთრებით მგძნობიარენი იყვნენ მუსიკისა და ადამიანის ხმისადმი.

მეცნიერების თქმით, ეს გამოკვლევა მოწმობს, რომ ახალშობილებს თავიანთი ტირილით სხვადასხვა ინტონაციური მოდელების გამეორება შეუძლიათ, თანაც უპირატესობას ანიჭებენ იმ ინტონაციას, რომელსაც მუცლად ყოფნის დროს ეჩვევიან.

ამგვარად, ცნობილი გახდა, რომ ახალშობილთა ტირილს შემდგომი ენობრივი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მეცნიერების თქმით, დედის ინტონაციის გამეორება ახალშობილების ყოფაქცევის საერთო მოდელის ნაწილს წარმოადგენს. ისინი დედის ქცევას ბაძავენ, რათა შემდეგ მისი ყურადღება მიიქციონ და მასთან კავშირი განიმტკიცონ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. განსაკუთრებით პატივცემულ, გამოჩენილ ადამიანთა საპატიო ტიტული ინდოეთში; 2. გამარტივებული ნახაზი; 3. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 5. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 6. ძილში ნანახი წარმოდგენითი სახეები; 11. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 13. პაემანი, შეხვედრა; 14. შვედური კოსმეტიკური ფირმა; 15. დიდი სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და წარმოების ხელოვნება; 17. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი; 18. ტკბილი კარტოფილი; 19. ფრანგი მეზღაპრე.

**თარაზულად:** 7. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 8. ტბა საქართველოში; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 12. ხარებთან ორთაბრძოლის ხელოვნება; 14. შავი და თეთრი შრეებიანი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 16. მჟავაგამძლე აგური; 18. „ფორმულა-1"-ში მონაწილე „რენოს" გუნდის მფლობელი; 20. ბალ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 22. მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი მესა კათოლიკურ მღვდელთმსახურებაში; 23. აფრიკული უკუდო მაიმუნი; 24. ვარდების ბაღი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წუმწუმა; 2. შპური; 3. გალენიტი; 4. დიზელი; 5. თაღლითი; 6. გალიერა; 11. პირლო; 13. ტრუიზმი; 14. პოლიფონია; 15. მარინისტი; 17. ლიმიტი; 18. კლიჩკო; 19. გეტა.

**თარაზულად:** 7. ჯულეპი; 8. კალიგრაფია; 9. აწყური; 10. წერეთელი; 12. კასტანიეტა; 14. პრიზმა; 16. კლაუზულა; 18. კალაჰარი; 20. ბიეფი; 21. ონი; 22. დიამბეგი; 23. როსი; 24. იაკიტორია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰიტი; 2. ტორტი; 3. „იმოლა"; 4. კოკაი; 5. ჭანეთი; 6. ბოქსიორი; 8. პრეფერანსი; 10. თაყაიშვილი; 11. საიათნოვა; 14. კოვბოი; 15. უოლესი; 16. „ტვიში".

**თარაზულად:** 1. ჰანტელი; 4. კეჭნაობა; 7. ტიბრი; 9. თართი; 12. აიდახო; 13. პეტრა; 14. კაბელი; 17. „მასინე"; 18. ღვინობისთვე; 19. ხილნარი; 20. ქიზიყი.

# იაპონია ავღანეთს მშვიდობიან აღმშენებლობაში დაეხმარება




იაპონიის მთავრობა ავღანეთს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში დამატებით 5 მილიარდი დოლარი დახმარების გამოყოფას დაჰპირდა.

შესაბამისი გადაწყვეტილება ტოკიოში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე იქნა მიღებული.

მიმდინარე წლის სექტემბერში ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ იაპონიის ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ავღანეთში სამხედრო ოპერაციისათვის დახმარების აღმოჩენის მისიის ნაცვლად ისინი ავღანეთისათვის მშვიდობიანი ცხოვრების მხარდაჭერის დახმარების გაზრდის გეგმაზე მუშაობდნენ.

მოგვიანებით მათ კონკრეტული რიცხვიც დაასახელეს — 5 მილიარდი — ხუთი წლის განმავლობაში.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, სავარაუდოდ, ეს თანხა ყოფილი თალიბების პროფესიონალურ მომზადებას მოხმარდება, რაც მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციაში დაეხმარება, გარდა ამისა, თანხები სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

მოსალოდნელია, რომ იაპონიის პრემიერ-მინისტრი იუკიო ჰატოიამა ამ გეგმის დეტალებს ტოკიოში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტის დროს განიხილავს. ბარაქ ობამა ტოკიოს პარასკევს უნდა ეწვიოს.

ჰატოიამამ პრეზიდენტის პოსტი მიმდინარე წლის სექტემბერში საყოველთაო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ დაიკავა. ამ გამარჯვებამ ბოლო მოუღო კონსერვატიული ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის „ბატონობას", რომელიც ხელისუფლების სათავეში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეუცვლელად იმყოფებოდა.

ჰატოიამას დემოკრატიული პარტია აშშ-სთან ურთიერთობაში მეტ თანასწორობას ესწრაფვის.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, აშშ-იაპონიის თანამშრომლობას მომავალ წელს ნახევარი საუკუნე უსრულდება და იაპონიის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, იგი აზიაში აშშ-ის პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ერთ-ერთ მიზეზად სამხრეთით მდებარე კუნძულ ოკინავაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის დისლოცირების შეცვლა იქცა.

აშშ ამ საკითხთან დაკავშირებით იაპონიასთან მოლაპარაკებების განახლების წინააღმდეგია და აცხადებს, რომ იგი იაპონიაში 50-ათასიანი სამხედრო კონტინგენტის ყოფნის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ უფრო ფართო შეთანხმებას შეუშლის ხელს.

# სამხრეთკორეულმა კატერმა ჩრდილოკორეულს ესროლა




სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყვითელ ზღვაში სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ხომალდებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა.

მათი თქმით, სამხრეთკორეულმა ხომალდმა ჩრდილოკორეული ხომალდის მიმართულებით, რომელმაც სადემარკაციო ხაზი გადაკვეთა, ერთი გასროლა განახორციელა.

ჩრდილოკორეულმა კატერმა საპასუხო ცეცხლი გახსნა. სამხრეთკორეელების თქმით, მათი მხრიდან არავინ დაზარალებულა.

სეულის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩრდილოკორეული კატერი სერიოზულად დაზიანდა და საკუთარ ტერიტორიულ წყლებს დაუბრუნდა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში ფხენიანმა განაცხადა, რომ სამხრეთკორეული ხომალდები დაძაბულობის ესკალაციის მიზნით საზღვაო საზღვარს არღვევენ და მსგავს ინციდენტებს საპასუხო ზომები შეიძლება მოჰყვეს.

მანამდე ჩრდილოეთ კორეამ გამოაცხადა, რომ ოქტომბერში, ერთი დღე-ღამის განმავლობაში, სამხრეთკორეულმა ხომალდებმა სადემარკაციო ხაზი ათჯერ დაარღვიეს.

1999 წელს ორმხრივი სროლის შედეგად ერთი ჩრდილოკორეული ხომალდი ჩაიძირა.

2002 წელს ოცწუთიანი სროლის შედეგად 4 სამხრეთკორეელი და 30-მდე ჩრდილოკორეელი მეზღვაური დაიღუპა.

სეული ცნობს ე.წ. ჩრდილოეთ სასაზღვრო ხაზს, რომელიც გაეროს სარდლობამ 1950-53 წლების კონფლიქტის დასრულების შემდეგ ცალმხრივად მიიღო. ფხენიანი ამ ხაზს არ ცნობს.

## სამგლოვიარო განცხადებები

დები თინა, ციალა გელდიაშვილები, დისშვილები ლანა ყურაშვილი, ირაკლი, ზაალ ბაიდაშვილები, სიძე ირაკლი ხუნდაძე, რძალი მარიამ წერეთელი, დეიდაშვილები ნარგიზი, ლევან ჯაფარიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბესარიონ ზაალის ძე გელდიაშვილი**

პანაშვიდი: 10, 11 ნოემბერს, 17 საათზე, ლარსის ქ.№5.

გამოსვენება: 12 ნოემბერს, 15 საათზე, ტვერელის სახელობის ეკლესიიდან (ზემო ვერა, ახალი გზა).

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა. 12-დან 17 საათამდე.

# ამერიკელი მაიორი მარტო მოქმედებდა




გფბ-ის წარმომადგენლების განცხადებით, აშშ-ის არმიის მაიორი ნიდალ მალიქ ჰასანი, რომელმაც ტექსასში ფორტ ჰუდის სამხედრო ბაზაზე 13 ადამიანი დახოცა, „ტერორისტული შეთქმულების" მონაწილე არ ყოფილა.

მიუხედავად ამისა, იგი წარსულში სპეცსამსახურების ყურადღების სფეროში მოხვედრილა.

როგორც გაირკვა, გფბ ჰასანით 2008 წლის დეკემბერში დაინტერესდა, აშშ-ის ანტიტერორისტული სამსახურის მოთხოვნით, მაგრამ მის საქმიანობას რაიმე ეჭვი არ გამოუწვევია.

სამართალდამცავი ორგანოების დაინტერესების მიზეზი გახდა ჰასანის კონტაქტი ადამიანთან, რომელსაც ძალოვანი სტრუქტურები ადევნებდნენ თვალს.

ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებმა მიიჩნიეს, რომ ეს საქმე შემდგომ ყურადღებას არ იმსახურებდა.

ლაპარაკია რადიკალური მუსლიმანი სასულიერო პირის ანვარ ავლაქის შესახებ, რომელიც, გავრცელებული ცნობების თანახმად, „ალ კაიდას" თანაუგრძნობდა.

დაზვერვის სამსახურებმა, რომლებიც იემენში მყოფი ანვარ ავლაქის ელექტრონულ ფოსტას ადევნებდნენ თვალს, იცოდნენ, რომ იგი ნიდალ მალიქს 20-ჯერ დაუკავშირდა.

ავლაქი იემენის ციხიდან გასულ წელს გაათავისუფლეს. თავის დროზე ვირჯინიის შტატის ქალაქ ფოლს ჩერჩში მეჩეთის იმამი იყო. ამ მეჩეთში მაიორი ჰასანი ხანდახან თავისი ოჯახის წევრებთან ერთად მიდიოდა ხოლმე.

ამჟამად ანვარ ავლაქი ხელმძღვანელობს ინტერნეტ-საიტს, სადაც აშშ-ის პოლიტიკას აკრიტიკებენ, მაიორ ჰასანის საქციელი კი გმირობად არის შეფასებული.

ამერიკელმა ოპერმუშაკებმა მაიორ ჰასანისა და ანვარ ავლაქის ელექტრონული მიმოწერის შინაარსი შეისწავლეს. მათ დაასკვნეს, რომ ეს წერილები ძალადობისაკენ მოწოდებას არ შეიცავდა და მაიორ ჰასანის მოვალეობებს შეესაბამებოდა.

ჰასანი, როგორც ფსიქიატრი, ერაყში სამსახურის შემდეგ სამხედრო მოსამსახურეების პოსტტრავმატულ სინდრომზე მუშაობდა.

ამჟამად, ფორტ ჰუდში წარმოებული გამოძიების შედეგების მიხედვით, ამერიკელმა ხელისუფლებმა დაასკვნეს, რომ ჰასანი მარტო მოქმედებდა.

გასულ კვირას მაიორმა ჰასანმა ფორტ ჰუდის სამხედრო ბაზაზე სროლა ატეხა. შედეგად 13 ადამიანი დაიღუპა — 12 სამხედრო და ერთი სამოქალაქო პირი, 29 ადამიანი დაიჭრა.

თავად მსროლელი პოლიციის ოპერაციის დროს დაიჭრა. ამჟამად იგი გონზეა და საავადმყოფოში იმყოფება.

გფბ-ის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი ჰასანის „დამუშავებას" დაიწყებდნენ, იგი იარაღის ხელში ჩაგდებას მაინც მოახერხებდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, აშშ-ის 39 წლის მოქალაქე, აღმსარებლობით მუსლიმანი, აღტაცებული არ იყო იმით, რომ ერთ-ერთ „ცხელ" წერტილში მოუწევდა გამგზავრება.

გფბ-ის დირექტორმა რობერტ მიულერმა გადაწყვიტა გამოეძიებინა, თუ როგორ ამუშავებდნენ დაზვერვის სამსახურები ჰასანის მიერ მიღებულ ინფორმაციას.

აშშ-ში ერთ-ერთმა კარგად ცნობილმა სენატორმა ჯო ლიბერმანმა განაცხადა, რომ კონგრესში გამოძიების ინიცირება აქვს გადაწყვეტილი, რათა გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა ფორტ ჰუდში ატეხილ სროლას რაიმე კავშირი ტერორიზმთან.

გარდა ამისა, ლიბერმანმა განაცხადა, რომ სურს გამოარკვიოს, ხომ არ დატოვა მაიორ ჰასანის ხელმძღვანელობამ უყურადღებოდ რაიმე ნიშანი იმისა, რომ ჰასანს ექსტრემისტული შეხედულებები შეიძლება ჰქონოდა.

# ირანში დაკავებულ ამერიკელებს ჯაშუშობის ბრალდებებს წაუყენებენ



ირანის საინფორმაციო სააგენტო ირნას ცნობით, ირანში საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულ სამ ამერიკელ მოქალაქეს ჯაშუშობის ბრალდებებსაც წაუყენებენ.

შეინ ბაუერი, სარა შურდი და ჯოშუა ფატალი, ირანის ხელისუფლებმა ივლისის ბოლოს დააკავეს.

მათი ახლობლების თქმით, ახალგაზრდებმა ერაყის ქურთულ პროვინციაში ირანთან ცუდად მონიშნული საზღვარი შემთხვევით გადაკვეთეს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ბერლინში ყოფნის დროს ირანის ხელისუფლების მოქმედება გადაჭრით დაგმო და დაკავებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.

„დარწმუნებული ვართ, რომ მათთვის რაიმე ბრალდებების წასაყენებლად არავითარი დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს", — განაცხადა მან.

# ბრაზილიის ცრუ პრეზიდენტმა ინტერვიუები ჩამოარიგა

ბრაზილიელმა მისტიფიკატორმა, რომელმაც თავი ქვეყნის პრეზიდენტ ინასიო ლულა და სილვად გაასაღა, პორტუგალიურ ენაზე მაუწყებელ რამდენიმე საერთაშორისო რადიოსადგურს ინტერვიუ მისცა.

ანგოლის სახელმწიფო რადიოსათვის მიცემული ინტერვიუს ტრანსლირება რამდენიმე დღის განმავლობაში მეორდებოდა, მანამდე, სანამ სიცრუე არ გამოაშკარავდა.

ინტერვიუში მისტიფიკატორმა, რომელიც საკუთარ თავს ბრაზილიის პრეზიდენტად ასაღებდა, 2016 წლის ოლიმპიური თამაშების შესახებ ისაუბრა, რომელიც რიო დე ჟანეიროში უნდა გაიმართოს.

როგორც ჩანს, ეს ხუმრობა ბრაზილიურმა რადიოსადგურმა მოიფიქრა.

მიმომხილველების თქმით, მსახიობი პრეზიდენტის ხმის ტემბრსა და აქცენტს მეტად დამაჯერებლად ბაძავდა.

ინტერვიუში ბრაზილიელი ოხუნჯი ანგოლას აფრიკის თასისადმი მზადებისათვის აქებდა. ეს ტურნირი ლუანდაში იანვარში უნდა გაიმართოს.

ავსტრალიური რადიოსადგურის „სიბიეს რეიდიოუს" ინტერვიუში მისტიფიკატორმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ ავსტრალიაში ვრცელი ბრაზილიური დიასპორა არსებობდა და მსოფლიოში გაფანტულ ბრაზილიელებთან ურთიერთობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით სიხარული გამოხატა.

მიუხედავად ამისა, ავსტრალიელ ჟურნალისტს ბეატრის ვაგნერს ეჭვი დაებადა, ბრაზილიის ხელისუფლებს დაუკავშირდა და სიცრუე გამოააშკარავა.

ანგოლის ეროვნული რადიოს რედაქცია ამჟამად შოკის მდგომარეობაშია.

თავად ბრაზილიის პრეზიდენტის რეაქციის შესახებ არაფერია ცნობილი.

# ჩრდილოეთ კორეის ლიდერს ექვსი ჯავშანმატარებელი ჰქონია

ჩრდილოეთ კორეის უცვლელ ლიდერს კიმ ჩენ ირს პირად სარგებლობაში 6 ჯავშანმატარებელი გააჩნია, რომლებიც, საერთო ჯამში, 90 ფეშენებელური, დაჯავშნული ვაგონისაგან შედგება.

ეს ინფორმაცია ბრიტანულმა გაზეთმა „თაიმსმა" სამხრეთკორეული მედიის ცნობებზე დაყრდნობით გაავრცელა.

ამ მონაცემების თანახმად, სპეციალურად „დიდი ლიდერისა" და მისი უახლოესი გარემოცვისათვის 19 სარკინიგზო სადგური ფუნქციონირებს, ხოლო თავად ჯავშანმატარებლები კონფერენციებისა და მიღებების გასამართავად სპეციალური დარბაზებით, ფეშენებელური საცხოვრებელი ვაგონებითა და თანამგზავრული კავშირგაბმულობის სისტემებით არიან აღჭურვილი.

ამ მატარებლებით კიმ ჩენი ირი ფხენიანის რეზიდენციიდან მთებში მდებარე საიდუმლო თავშესაფრისაკენ და პირუკუ მიმართულებით მგზავრობს.

ცნობილია, რომ ჩრდილოკორეელი ლიდერი თვითმფრინავით ფრენას ერიდება და ქვეყნის ფარგლებში, გარდა ამისა, საზღვარგარეთ იშვიათი ვიზიტების დროს მხოლოდ პირადი ჯავშანმატარებლით მგზავრობს.

ის, რომ მას რამდენიმე ასეთი მატარებელი ჰქონდა, პირველად გახდა ცნობილი.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 11 ნოემბერი**

**08.00** ან. სერ. "ფლატმანია" **08.30** სერ. "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი "**კატები და ძაღლები**" **12.30** სერ. "**ელიზას ქალიშვილი**" **13.30** მხ. ფილმი "**ჩემი ყოფილი საცოლის მოჩვენება**" **15.00** სერ. "**პირისპირ**" **16.30** ან. სერ. "ადამიანი ობობა" **17.00** ევროვიზია ჯუნიორი 2009 – დღიური **18.00** დოკ. ფილმი "ნოსტრადამუსი 2012 წელი" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. "**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** ჩვენებურები **23.00** სერ. "**სულებთან მოჩურჩულე**" **00.00** მხ. ფილმი "**საპარიკმახერო**" (12) **02.00** მოამბე

**19.00** ან. ფილმი "ფლატმანია" **19.25** "სიზმარვიზია" **19.40** სერ. "**ხუთი დღე შუაღამემდე**" **20.25** დოკ. ფილმი **21.25** სერ. "**სიყვარულის არდადეგები**" **22.00** მხ. ფილმი **23.15** მხ. ფილმი

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** ვა-ბანკი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერ. "**გულის ძახილი**" **16.50** სერ. "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერ. "**ანხელის საიდუმლო**" **22.00** ვის უნდა 20 ათასი **23.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**" **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი "**ნიუ-იორკი, ნიუ-იორკი**" (18) (ლ. მინელი)

**08.00** მულტფილმი "რიპლი" **09.00** სერ. "**მარია ემილია**" **09.50** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერ. "**ტყუპები**" **12.00** სერ. "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. "**ლარედოს ქუჩები**" **15.50** მხ. ფილმი **17.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **19.30** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **20.20** სერ. "**ტყუპები**" **21.10** ძილისპირული **21.30** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.35** "სიცილი მზეზე" **23.10** სერ. "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. "**კლინიკა**" **13.00** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **15.00** სიმართლის დრო (გან.) **16.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ **23.00** სერ. "**კლინიკა**" **00.00** სერ. "**ვინმე**" **01.00** მხ. ფილმი "**ამნეზია**" (12) (ტ. ბერენჯერი) **02.45** ქრონიკა **03.00** სერ. "**კლონი**"

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.05** მხ. ფ. "**ჰერმანიკუსი**" **10.30, 19.30** სერ. **11.45, 21.00** სერ. "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.40** მხ. ფილმი "**მე ვრჩები**" **15.25** მხ. ფილმი "**მედოლე**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **22.00** "სცენა" **23.00** მხ. ფილმი "**მახე**" **00.30** მხ. ფილმი "**ამაოების ბაზარი**"

ერთსულოვნება **09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** დროის ჩანაწერები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** "მრავალთათვის საკეთილო" ერლომ ახვლედიანი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფ. "**ცარიელი ბინა**" **13.00** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** დოკ. ფ. "გზა" მე-3 ს. **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.15** მხ. ფ. "**ჩაკლული სული**" **20.35** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დოკ. ფილმი "ჯვრის თაყვანისცემა" **22.00, 00.15** სიახლენი **22.20** გადაცემა "პერსპექტივა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გადაცემა "პერსპექტივა"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 11 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:

აშშ დოლარი — 1,6825

ევრო —2,4035

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13-17, ღამით — 5-8

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 14-1§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11-12, ღამით — -4-§

## ამინდის პროგნოზი 11 ნოემბრისთვის






### ქართული ფლორის საოცრება

# „სალხინო"

### უებარი წამალი

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

# ლევან ყენია გაჩერებას არ აპირებს

საქართველოს ნაკრებისა და „შალკე 94"-ის ნახევარმცველმა, ლევან ყენიამ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე დაიგდო სახელი ევროპაში, ხოლო ბუნდესლიგაში ერთ-ერთი პერსპექტიულია. ქართველ ფეხბურთელზე უეფას ვებგვერდი საუბრობს.

გელზერკირხენელებმა ყენია თბილისის „ლოკომოტივიდან" ჯერ კიდევ 299§ წელს შეი ინეს, მაგრამ ქართველ ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ლოდინი დასჭირდა. მართალია, ბუნდესლიგაში დებიუტი გასულ სეზონში ჰქონდა, მაგრამ სრულად მხოლოდ ახლანდელ შემადგენლობაში მოახერხა ადგილის დამკვიდრება. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც ყენიას ტალანტის ფელიქს მაგათმა ირწმუნა.



— ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან შანსი მომეცემოდა. ეს დროც დადგა და ძალიან მიხარია, რომ ისეთი ძლიერი სპეციალისტის ხელში მოვხვდი, როგორიც მაგათია. მწვრთნელი მენდობა, მაძლევს სათამაშო დროს, ხოლო, თუ როგორ ვაკმაყოფილებ მის მოთხოვნებს, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია — ყველაფერი სეზონის დასრულების შემდეგ გახდება ნათელი, — ამბობს ყენია.

გერმანელ ჟურნალისტებთან საუბარში მაგათმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ყენიას დიდი მომავალი აქვს. სწორედ ამან მისცა ქართველ ფეხბურთელს მეტი თავდაჯერება და, თავის მხრივ, კომპლიმენტებს არ იშურებს.

— მაგათი ძლიერი სპეციალისტია. ბევრი ამბობს, რომ მასთან მუშაობა ძნელია და ეს მართალიც არის. მაგათი ყოველთვის მაქსიმუმს ითხოვს, მაგრამ ძალიან მომწონს საქმისადმი ასეთი მიდგომა. ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, როდესაც მასთან მუშაობის საშუალება მომეცა, — თვლის ქართველი ფეხბურთელი.

„შალკე" ყოველ სეზონში მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და გამონაკლისი არც მიმდინარე ჩემპიონატია. გელზერკირხენელთა ამბიცია კიდევ

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# რუსუდან ბოლქვაძემ იუბილე სპექტაკლით აღნიშნა

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობმა რუსუდან ბოლქვაძემ 50 წლის იუბილე მშობლიურ თეატრში სპექტაკლში თამაშით აღნიშნა.

რუსუდან ბოლქვაძე თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კინომსახიობთა თეატრის და „ქართული ფილმის" მსახიობია. იუბილარმა მსახიობმა 40-ზე მეტი როლი ითამაშა სპექტაკლებში. მათ შორის „ბნელ ოთახში", „დონ ჟუანი", „ჩვენი პატარა ქალაქი", „პაკულას ღორები", „წუთისოფელი ასეა", „ზაფხულის ღამის სიზმარი".



ცნობილ ქართველ მსახიობს დაბადების დღე თბილისის მერიის, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა და კოლეგებმა მიულოცეს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, იუბილარი ხელოვანის გადაწყვეტილებით, კინომსახიობთა თეატრმა მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმული დავით კლდიაშვილის ერთმოქმედებიანი ლეგენდარული სპექტაკლი „ბაკულას ღორები" წარმოადგინა, რომელშიც რუსუდან ბოლქვაძე ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

დარბაზში მრავლად იყვნენ რუსუდან ბოლქვაძის კოლეგები, ახლობლები და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები. მათ იუბილარ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 11 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **კირჩხიბი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **ლომი** — ყველა საქმე გამოგდით, იაქტიურეთ. **ქალწული** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ამანათიც მიიღოთ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მეტი სითბო გამოიჩინეთ მის მიმართ. **მერწყული** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, პრობლემები არ გაქვთ. **თევზები** — ახალი სამსახური გაამართლებს, უფროსობა გწყალობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. აეროპორტი პარიზში; 2. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე, კორძი; 3. წითელი ზღვისპირა ნავსადგური, კურორტი იორდანიაში; 4. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 5. რომის იმპერატორთა ტიტული; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. კინოსა და თეატრის ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. გურული სიმღერა; 11. კუთხე საქართველოში; 14. მონარქიული სახელმწიფო კუნძულ კალიმანტანზე; 15. კარგი გუნება, მხიარული განწყობა; 16. აქლემის ბეწვისგან ნაქსოვი ხალიჩა.

**თარაზულად:** 1. „დედინაცვლის ენად" წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 4. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის რაიონში; 7. ქალაქი ბელგიაში; 9. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 12. შხამიანი გველი; 13. გალექსილი აფორიზმი; 14. ინგლისელი მწერალი დების გვარი; 17. აპკი, რომელიც ფარავს ფილტვებსა და გულმკერდის ღრუს კედლებს; 18. ძველებური სუფრის წესი, ორი ადამიანის მიერ ღვინის ერთდროული შესმა დამეგობრების ნიშნად; 19. ობიექტურად არსებული სინამდვილე; 20. კვანტური გენერატორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## იუმორი

ბანკში მძარცველი უსიტყვოდ აწვდის მოლარეს ბარათს: „ბანკნოტები პარკში ჩააწყვეთ და მშვიდად, ყურადღების მიპყრობის გარეშე გადმომაწოდეთ".

მოლარე ასევე წერილობით პასუხობს: „ჰალსტუხი შეისწორეთ, სურათს გიღებენ"...

***

ორი ქურდი საიუველირო მაღაზიის ვიტრინას ათვალიერებს:

— აი, იმ დიდ ალმასში, როგორ ფიქრობ, რამდენი შეიძლება მოგვცენ?

— მოსამართლეს გააჩნია...

***

ოპტიმისტების ოჯახი:

— მამი, ვსვამ, ვეწევი, პოკერში მანქანა წავაგე, თანაკლასელი ჩემგან ბავშვს ელოდება, გარდა ამისა, მათემატიკაში ათიანი მივიღე!

— გაიგე, ქალო, ჩვენმა ბიჭმა ათიანი მიიღო!

***

— ოთხი დღეა პირი არ გამიპარსავს და ახალი ქურთუკი ნაქურდალს დაემსგავსა...

***

დრუნჩა ვინი პუჰს სტუმრად ეწვია, ხედავს ვინი ცხვირში რაღაც წამალს იწვეთებს და დოლბანდის ნიღაბს იკეთებს.

— რა მოხდა, ვინი, ავად ხარ?

— ჯერ არა, მაგრამ შენთან, ღორო, რამდენიმე შეკითხვა მაქვს...

— როგორ გეკადრებათ, მე მაწანწალა კი არა ბოთლების ჩაბარების მენეჯერი ვარ...

***

— დედა, ჟირაფს რქები რატომ აქვს, ირემი ხომ არ არის?

— შვილო, მამაშენს დააკვირდი, რქები აქვს, მაგრამ მაინც ვირია...

***

— რაღაც ვერ მივხვდი, მედვედს ვადა რომ გაუთავდება, რუსეთს სამი პრეზიდენტი ეყოლება?

## თქვენ და გარემოებები

**ტესტი**



***1. გახასიათებთ თუ არა რაიმე თვისება, რითაც სხვას აღემატებით?***

ა. არა, ბ. დარწმუნებული არ ვარ, გ. დიახ.

***2. თუ გაგიმარჯვებიათ სპორტულ შეჯიბრებებში?***

ა. არა. ბ. იშვიათად, გ. ხშირად.

***3. შეგიძლიათ თუ არა უფროსს შეეპასუხოთ?***

ა. ვამჯობინებ, არ შევეპასუხო. ბ. ხანდახან შეიძლება. გ. ხშირად.

***4. მიგაჩნიათ, რომ შეგიძლიათ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოთ?***

ა. დიახ, თუ ბედი გამიღიმებს, ბ. შეიძლება, თუ შევეცდები. გ. ისედაც ბევრს მივაღწიე.

***5. როგორ მოიქცევით, თუ რესტორანში ცუდად მოგემსახურნენ?***

ა. მოვითმენ. ბ. ოფიციანტს ფულს არ ვაჩუქებ. გ. მეტრდოტელს გამოვიძახებ და ჩხუბს დავიწყებ.

***6. წარმოიდგინეთ, თქვენი შვილი სკოლის შემდეგ მსახიობად ან მხატვრად გახდომას აპირებს. რას ურჩევდით?***

ა. თავიდან ამოიგდე ეგ აზრი. ბ. ჯერ რაიმე პროფესიას დაეუფლე, რომ ლუკმაპურის გარეშე არ დარჩე. გ. მიდი, შვილო, ოცნებაზე უარი არ თქვა.

***7. დასვენებას აპირებთ უცნობ კურორტზე. ამჯობინებთ:***

ა. ტურისტულ ჯგუფს. ბ. განსაზღვრული მარშრუტით ექსკურსიას. გ. „ველურ" ტურიზმს.

***8. რა დამოკიდებულება გაქვთ ლატარიის მიმართ?***

ა. აქტიურად ვთამაშობ, ბ. გულგრილი ვარ, რადგან მოგების შანსი მცირეა. გ. თავად ვცდილობ ასეთი მომგებიანი საქმის ორგანიზებას.

**პასუხები**

*პასუხები ასე შეაფასეთ: ა. 1 ქულა. ბ. 3 ქულა. გ. 5 ქულა.*

**8-12 ქულა:** საკუთარ თავს გადაჭარბებით აფასებთ, გყოფნით სიმამაცე, გადაიტანოთ სირთულეები, მაგრამ მათ გადალახვას ვერ ახერხებთ. მიზნის მისაღწევად მეტი ინიციატივა გჭირდებათ.

**13-18 ქულა:** საღად მოაზროვნე ადამიანი ხართ, რომელიც არა მარტო ითვალისწინებს გარემოებებს, არამედ ცდილობს მათზე ზემოქმედებას.

**19-24 ქულა:** თქვენ ენერგიული მოქმედების ადამიანი ხართ, რომელიც მზად არის რისკზე წავიდეს მიზნის მისაღწევად. შეგიძლიათ დინების წინააღმდეგ სიარული, შესაძლოა უფრო მეტი მოქნილობა გჭირდებოდეთ.

გ.თ.